გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N33 (9249) 30 ნოემბერი . 2017 წელი ფასი 50 თეთრი

## საშემოდგომო აქციის ფარგლებში ბაღებსა და სკვერებში ხეები დარგეს



2

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობები დაამტკიცა

2

## "ჩხიკვთა ქორწილი" "იმედის" ტყეში

5



## ქველმოქმედება "საზოგადოებრივი პროკურატურის" ეგიდით

3



## შვილის ჭარბი სიყვარული ასწლოვანი მშობლის მიმართ

9

## "მე მივდივარ, ახლა თქვენი ჯერია"...

6

## კომპიუტერი ნიჟნიერების ახალი სახე

8

# მუნიციპალიტეტის საკრებულომ კომისიების შემადგენლობები დაამტკიცა



**ნინო ნანიტაშვილი**

2017-2021 წლების მე-4 მოწვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე გაირკვა საკრებულოში არსებული კომისიების თავმჯდომარეების ვინაობა. რაც შეეხება კომისიების შემადგენლობას, უკვე საკრებულოს წევრების ასარჩევი იყო.

სწორედ ამ მიზნით 2017 წლის 27 ნოემბერს შეიკრიბა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელზეც დამტკიცდა კომისიების შემადგენლობები.

ცალკეული საკითხების განსახილველად აუცილებელია კომისიების მუშაობა და ამდენად, ჩამოყალიბების შემდეგ პირველივე სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს დღის წესრიგში დადგა 5-ვე კომისიის შემადგენლობაში საკრებულოს წევრების დამტკიცების საკითხი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის ნაწილის "ბ" პუნქტის "ზ, დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების საკითხი და დამტკიცდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით: მანანა სირბილაძე (კომისიის თავმჯდომარე), კოტე ნაცვლიშვილი, ხვიჩა ფანცულაია, შალვა არზუმანიანი, ილია მჟავია, დავით ნიკოლეიშვილი, ალექსანდრე ჯვარშეიშვილი, ლიზა კრავეიშვილი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" პუნქტის "ზ, დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ასევე განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების საკითხი და დამტკიცდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით: შალვა არზუმანიანი (კომისიის თავმჯდომარე), მერაბ უღრელიძე, კოტე ნაცვლიშვილი, ვაჟა სტურუა, გრიგოლ დარჯანია, დავით ამაღლობელი, ლაშა რუსია, მამუკა ბიბილეიშვილი, ემზარ შუბლაძე, კამო კანდელაკი, ავთანდილ სტურუა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით დამტკიცდა: მერაბ უღრელიძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ამაღლობელი, ბადრი შენგელია, მანანა სირბილაძე, გრიგოლ დარჯანია, ილია მჟავია, გოჩა არველაძე, ლაშა რუსია, ვაჟა კოხრეიძე, მამუკა ბიბილეიშვილი, კამო კანდელაკი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების საკითხი ასევე იქნა განხილული და დამტკიცდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით: გიორგი ლეჟავა (კომისიის თავმჯდომარე), ტარიელ დვალიშვილი, რაჟდენ ტორონჯაძე, ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, ვახტანგ დუნდუა, ემზარ შუბლაძე.



27 ნოემბრის საკრებულომ განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების საკითხი და დამტკიცდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობა შემდეგი სახით: ბადრი შენგელია (კომისიის თავმჯდომარე), ტარიელ თევზაძე, ხვიჩა ფანცულაია, ტარიელ დვალიშვილი, ვაჟა სტურუა, გიორგი ლეჟავა, გოჩა არველაძე, გრიგოლ ჩიგოგიძე, ავთანდილ სტურუა.

# საშემოდგომო აქციის ფარგლებში ბაღებსა და სკვერებში ხეები დარგეს











**ნათია ნაცვლიშვილი**

მართალია, მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება უკვე აღჭურვილია თანამედროვე მიწისმთხრელი ბურღით, რომლითაც ხეებს რგავენ, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას ხელში ბარის დაჭერაც მოუწია. მერიის წარმომადგენლების და საკრებულოს წევრების ინიციატივით დაწყებული მწვანე აქცია მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე გრძელდება. ამჯერად საშემოდგომო აქციის ფარგლებში ხეები რამდენიმე ლოკაციაზე დაირგო: ვალიკო კოპალეიშვილის სახელობის სკვერში, ლაშა თევზაძის ქუჩის დასაწყისში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ, პოლიციის შენობის წინ. სულ 70 ძირი ხე დაირგო, ნერგების ნაწილი სამტრედიის დენდროლოგიური პარკიდან წამოიღეს, ნაწილი საჩუქრად გადმოსცეს ჩვენს მუნიციპალიტეტს ჭაობის კვიპარისის ნერგები გამოგვიგზავნა გრიგოლ რუხაძემ, რომელიც წარმოშობით სამტრედიელია და არის საპატრიარქოს გამომცემლობის თავმჯდომარის მოადგილე. მას კი ნერგები ამროსი ჭკუასელმა გადასცა, რომელიც აგრარული უნივერსიტეტის მეცხოველეობის ფაკულტეტის დეკანი და პროფესორია. უნიკალური იტალიური მუხის ნერგები კი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგურის დახმარებით დაირგო.

ელგუჯა კალაძე, გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების უფროსი: "დღეს მერიის და საკრებულოს ერთობლივი აქცია მიმდინარეობს, დავიწყეთ საშემოდგომო რგვა და რამდენიმე დღე გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აქაა ნეკერჩხალი, კვიდო, მარადმწვანე იტალიური მუხა, რომლის თესლიც კობა ძიძიგურმა ჩამოგვიტანა. ნერგების ნაწილი გამწვანების სამსახურის თანამშრომლებმა მოიტანეს _ მუშმალისა და კაკლის ნერგები, ყველამ თავისი სახელობის ნერგი დარგო, აქ არის ჩვენი ყველა თანამშრომელი, გვინდა, საქმე ისე გავაკეთოთ, როგორც ეკუთვნის ჩვენს ქალაქს."

მუნიციპალიტეტის მერი, ვალერი ფოცხვერია: "უკვე ტრადიციად გვექცა სამტრედიის ტერიტორიაზე, სხვადასხვა ბაღებსა და პარკებში გაზაფხულსა და შემოდგომაზე ნერგების დარგვა. ამჯერად ჭაობის კიპარისი დავრგე, ამ სახეობის ხე დგას რკინიგზის ვაგზლის წინ, ასევე დავრგეთ კობა ძიძიგურის მიერ იტალიიდან ჩამოტანილი მუხა. ასე რომ, ვამშვენებთ და ნარგავებით ვამდიდრებთ სამტრედიას."

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია: " ჩვენ ვაგრძელებთ საუკეთესო ტრადიციას, რომელიც მესამე მოწვევის საკრებულოში დავამკვიდრეთ: ვამშვენებთ მუნიციპალიტეტს მწვანე ნარგავებით, ვაჯანსაღებთ და ამავდროულად, ვალამაზებთ გარემოს".

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური: "იტალიაში ვიყავი მოსალოცად, სამი დღე რომში ვიმყოფებოდი, სადაც ბევრია მუხა. იმ პერიოდში მიწაზე რკო ბლომად ეყარა, გამწვანების სამსახურში ვალერი კახიანმა მოახერხა და გაახარა ამ თესლისაგან ნერგები, მისი ბაბუა სამტრედიის დენდროლოგიური პარკის დამაარსებელია. ვაგრძელებთ დაწყებულ საქმეს და ვალამაზებთ ქალაქს".

ლიზა კრავეიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია "ქართული ოცნება-მრეწველების" თავმჯდომარე:

"ამ აქციას ორგანიზება გაუწია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ირგვება განსაკუთრებული ჯიშის ნერგები, შევეცადეთ, გავალამაზოთ ადგილები, სადაც ჩვენი ახალგაზრდებისათვის ხეივანი შეიქმნება და იქნება კულტურული დასვენების ადგილები"

# ქველმოქმედება "საზოგადოებრივი პროკურატურის" ეგიდით

ქეთევან ჭელიძე

***ცივი ზამთრის მოლოდინში თითქოს სუნთქვა შეკვროდა სოფელს. მცხუნვარე მზის მერე წვიმა და სეტყვა ეუცხოვებოდა. მოქუფრული ცა ტაშს მძლავრად შემოჰკრავდა და მისა და ბარში შემოდგომას ქუხილით ემშვიდობებოდა. ასე იცის გიორგობამ გიორგობის თვეში.***

***საჩუქრებით დატვირთული მანქანები გზას ზემოთ მიუყვებოდნენ. ფერდობებზე შეფენილი სახლებიდან ჩქამი არ ისმოდა. გაგუების დიდ ოჯახში კი სასურველ სტუმრებს ელოდნენ. სამტრედიის რაიონული პროკურორი მალხაზ გეწაძე, მისი მოადგილე გრიგოლ კეზევაძე, პროკურატურის პროკურორები: ირაკლი შვანგირაძე, მარიამ მელაძე, გივი გოცაძე, კანცელარიის უფროსი ეკატერინე ვაშაკიძე ხელდამშვენებულნი ეწვივნენ მრავალშვილიან ოჯახს.***

ყველაფერი საკუთარი სახსრებით შეიძინეს ამ ადამიანებმა: ტკბილეული და სურსათ-სანოვაგით აავსეს ჩანთები, წიგნები, სათამაშოები, თბილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელიც შეაგროვეს მათთვის.

დაიმორცხვეს პატარებმა, მაგრამ ახალგაზრდა პროკურორებმა მალე შეძლეს მათთან საერთო ენის გამონახვა. სკოლაში რომ კარგად სწავლობენ და საოჯახო საქმეებიც რომ აქვთ განაწილებული, ამის შესახებაც უამბეს მათდამი კეთილად განწყობილ სტუმრებს. საკუთარი სურვილებიც გაანდეს მათ.

სოფელ ნიგორზღვაში მარინა და რამაზ გაგუებს ყველა იცნობს, ალალ და პატიოსან ცოლ-ქმარს. ოჯახი სოციალურად დაუცველია და სახელმწიფოსაგან ყოველთვიურად იღებს დახმარებას. თუმცა, არც ეს და არც მათ საკუთრებაში არსებული მიწის პატარა ნაკვეთიდან მიღებული შემოსავალი საკმარისი არ არის თავის გასატანად. მით უმეტეს, რომ ქალბატონი მარინა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო პენსიაზე იმყოფება და მკურნალობას საჭიროებს.

სოფელში კეთილ ხალხს რა დალევს და ისინიც შეძლებისდაგვარად ხელს უწვდიან მეზობელს. ექვსი შვილი: შოთა, გიორგი, ლაშა, ივერი, მარიამი და დავითი საინტერესოს და ამაღლებულს ხდის ამ სახლის ცხოვრებას. უმცროსები ნიგორზღვის საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები არიან. ქალბატონი მარინა სიამაყით გვიჩვენებს მარიამის სასკოლო დღიურში დაწერილ მაღალ ნიშნებს და მუყაითად შესრულებულ საშინაო დავალებებს. მისი ოცნებაც ესაა, კარგად ისწავლონ შვილებმა და კარგ ქართველებად გაიზარდონ.

გაგუების ყოფას შვილიშვილი, უფროსი შვილის, შოთას, ნინიკოც ალამაზებს. იმ დღეს სახლში არ დაგვხვდა იგი, რადგან ავადმყოფობის გამო "ჯეოჰოსპიტალსში" დედასთან ერთად დაეწვინათ. შოთა და მისი მეუღლე, სალომე, კიდევ ერთ შვილს ელოდებიან და გაგუების ოჯახს მალე მეთერთმეტე წევრი შეემატება. ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო პროკურატურაში არჩევანი მათზე გაეკეთებინათ.

მადლიერებას ვერ ფარავდნენ, ყოველთვის მემახსოვრებაო, ქალბატონმა მარინამ. "არ ვიცი, ჩემი ემოცია და სიყვარული როგორ გამოვხატო, ნამდვილად გვჭირდებოდა დახმარება. მადლობა ბატონ მალხაზ გეწაძეს და პროკურატურის ყველა თანამშრომელს". _ აღნიშნა მან.

"საზოგადოებრივი პროკურატურის" ფარგლებში მრავალი შეხვედრა და ღონისძიება ეწყობა ჩვენს მუნიციპალიტეტში. როგორც მალხაზ გეწაძე ამბობს, ისინი დანაშაულის პრევენციისკენ არის მიმართული. გიორგობას ხელმოკლე ოჯახს სწვეოდნენ, ესეც ამ პროექტის ნაწილია, მაგრამ განსხვავებული.

"მთელ საქართველოს, მართლმადიდებელ ქრისტიანებს და, რა თქმა უნდა, ამ ოჯახს ვულოცავ წმინდა გიორგის დღესასწაულს. თითოეული ჩვენგანის და ალბათ, ყველა ადამიანის მოვალეობაა, გვერდით დავუდგეთ სოციალურად გაჭირვებულ ჩვენს თანამოძმეებს, მიუხედავად ჩვენი პოზიციისა და მდგომარეობისა და რაიმეთი გავულამაზოთ მათ ნებისმიერი დღესასწაული. აუცილებელია ვიზრუნოთ ერთმანეთზე, მით უფრო ასეთ შესანიშნავ დღესასწაულზე. ძალიან მიხარია, დღეს ეს პატარები ბედნიერები რომ არიან. დარწმუნებული ვარ, ეს დღე დიდხანს დაამახსოვრდებათ. თვითონ რომ გახდებიან პროკურორები, დიდი ქალები და კაცები მათაც მიანიჭებთ ბედნიერებას ის, რაც დღეს ჩვენ გვანიჭებს. ისინი ისწავლიან ზრუნვას თავიანთ თანამემამულეებზე. ეს იყო ამ დღის მიზანი და ვფიქრობ, რომ მიღწეულია. მთელი პროკურატურა, თითოეული თანამშრომელი ჩაერთო, რათა წვლილი შეეტანა ამ ბედნიერებაში". _ აღნიშნა ბატონმა მალხაზმა.

იდეა, რომ მისი იყო, ამაზე არ საუბრობს, რადგან მისმა კოლეგებმა ერთბაშად აიტაცეს და გაითავისეს იგი. "სურვილი გაგვიჩნდა, დავხმარებოდით ამ ოჯახს გიორგობის დღესასწაულზე. კიდევ ერთხელ მივულოცავ მათ, დღევანდელი დღის მადლი შეეწიოს სრულიად საქრისტიანოს". _ თავისი განწყობა გამოხატა ბატონმა გრიგოლ კეზევაძემ.

ეს დასაწყისია და მსგავსი ღონისძიებები კიდევ გვექნებაო, ბატონმა მალხაზმა. მით უმეტეს, ახალი წელი მოდის და იმ დღეს კიდევ ერთ შეჭირვებულ ოჯახს მისცემენ იმედს!









# ორი მხარე აქვს მედალს

## ფიქრები მეოთხე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომის შემდეგ

ლევან გაბეჩავა

საკრებულოს პირველი სხდომის მიმართ მოლოდინი იყო გასაგები მიზეზების გამო.

მუნიციპალიტეტის მერის, მერიის სამსახურების, მედიის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა აქ ყოფნაც ადასტურებდა ყოველივეს.

საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიათა, ფრაქციათა (ძირითადად) თავმჯდომარეები უცვლელები, იგივე პიროვნებები გახდნენ. სიახლე თითქმის არაფერია, გარდა იმისა, რომ უმრავლესობას ამჯერად საკრებულოში 4 ქალბატონი ჰყავს.

**რამდენად მომგებიანია მუნიციპალიტეტისათვის, საზოგადოებისათვის, ამომრჩევლისათვის საკრებულოს ხელმძღვანელობის იგივე კადრებით დაკომპლექტება?**

**რა უნდა ვიფიქროთ ოპოზიციის მიერ პირველთა სხდომის პროტესტის ნიშნად დატოვების შესახებ?**

ვთქვათ სიმართლე, პირველი კითხვის პასუხი არაერთგვაროვანია, მაგრამ გამართლება აქვს.



ჯერ ერთი და მთავარი, არჩევნების შედეგების გამოძახილია ყოველივე, მეორეც, ეს დიდზე დიდი პასუხისმგებლობა, ნდობა და გამოწვევაცაა, რამეთუ, საკრებულოს, როგორც თავმჯდომარემ და მოადგილემ, ასევე კომისიათა, ფრაქციათა ხელმძღვანელობამ წინა სამ წელიწადში შესანიშნავი პოლიტიკური წრთობა მიიღეს, კარგი გამოცდილება შეიძინეს, ამდენად, არ ვიცოდით, ვერ ვერკვეოდითო და ა. შ. ასეთი განცხადებების გაკეთებას ადგილი არ(ვერ) უნდა ჰქონდეს.

ოპოზიციამ დატოვა დარბაზი.

ჩვეულებრივი მოვლენაა, პოლიტიკური ცხოვრებისათვის უცხო არაფერია ამ ქმედებაში, მაგრამ, მაგრამ ყოველივეს სისტემური ხასიათი არ უნდა მიეცეს, რადგან მათ ამომრჩეველმა ხმა მისცა, მხარი დაუჭირა საკრებულოში მათ მოხვედრას, რათა იქედან, საკრებულოდან ჩაერთონ პრინციპულ, საჭირბოროტო საკითხთა გადაჭრის პროცესში.

ოთხი ქალბატონი საკრებულოში.

ქალბატონ მანანა სირბილაძეს, რომელიც წინა მოწვევის საკრებულოშიც კომისიის თავმჯდომარე იყო, ქალბატონ ლიზა კრავეიშვილს, გამგებლის აწ უკვე ყოფილ მოადგილეს და საზოგადოებრივად აქტიურ ქალბატონს ნონა გოგისვანიძეს კარგად იცნობს საზოგადოება. რაც შეეხება ქალბატონ ბაია იმესაშვილს იგი პირველ ნაბიჯებს დგამს პოლიტიკაში.

ქალური კდემა, შორსმჭვრეტელობა, წინდახედულობა, კონსესუსის მიღწევის სურვილი იქნება ჭარბად მათ საქმიანობაში, უეჭველად იქნება.

აუცილებელია, საკრებულოში წარმოდგენილი თითოეული წევრი პერიოდულად ანგარიშით წარსდგეს იმ ადამიანთა წინაშე, ვინც ისინი სხვებისაგან განასხვავა, მხარი დაუჭირა, მისცა საშუალება 4 წლის განმავლობაში აქტიური პოზიცია ეკავოთ.

გადასაჭრელ-მოსაგვარებელი საკითხებით დახუნძლული ოთხი გრძელი წელიწადია წინ.

წარმატებებს ვუსურვებ მეოთხე მოწვევის საკრებულოს შემადგენლობას.

# იოანე და თემურ ვაშაკიძეების მემორიალი

**ნინო ნანიტაშვილი**

იოანე და თემურ ვაშაკიძეების მემორიალი ინტელექტუალურ თამაშებში "რა? სად? როდის?" ბრეინ-რინგი და ჯეპარდი გაიმართა სამტრედიაში. სასტუმრო "ცისკარში" ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ინტელექტუალური ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა ადგილობრივი და ჩამოსული მოთამაშეებისაგან დაკომპლექტებული 27 გუნდი.

აქ იყო ბათუმის სამი გუნდი, ფოთიდან _ ორი, ვანიდან _ ორი, ქუთაისი ექვსი გუნდით იყო წარმოდგენილი, ბაღდათი _ ორი გუნდით, თბილისიდან სამმა გუნდმა იასპარეზა.





იოანე და თემურ ვაშაკიძეების მემორიალს მეტ ინტერესს სძენდა იმ ადამიანების მონაწილეობა, რომლებიც არიან "ბროლის ბუს" მფლობელები: სერგო თევდორაძე, საქართველოს ნაკრების წევრი, დავით ლომინაძე, გაგი გაბრიჭიძე, სატელევიზიო გადაცემის "რა? სად? როდის?" ყველაზე მეტი სწორი პასუხის ავტორი, ასევე სხვა ტიტულოვანი მოთამაშეები, რომლებიც კონკრეტულ ჩემპიონატს მრავლად ჰყავდა.

ორგანიზატორები იყვნენ: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და სამტრედიის ინტელექტკლუბი. ჩემპიონატი გაიხსნა ბიჭებისადმი მიძღვნილი წუთიერი დუმილით. ორი დღის განმავლობაში სულ 72 კითხვა იქნა დასმული. კითხვების პაკეტის ავტორები გახლდნენ: გიორგი ჩაჩუა, ლევან ცირეკიძე, ლაშა ლორია, ლაშა ორმოცაძე და ტოპრედაქტორი ლევან ჩხეიძე.



პოზიტიური შეფასება მოჰყვა ჯეპარდისა და ბრეინ-რინგის პაკეტებსაც. პირველმა დღემ გამოავლინა ჯეპარდის ჩემპიონატის ფინალისტები და გამარჯვებული. მე-4 ადგილზე გავიდა სამტრედიელი გიგა ჩალიგავა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ძლიერი კონკურენციის პირობებში. მე-3 ადგილზე გავიდა გაგი გაბრიჭიძე. მე-2 ადგილის მფლობელი გახდა ლევან სარქისოვი. პირველი ადგილი დაიკავა ილო ქარდავამ. მას საჩუქრად გადაეცა გამომცემლობის "წიგნები ბათუმში" 100 ლარიანი ვაუჩერი. ფინალისტები კი დასაჩუქრდნენ სიგელებითა და თანამედროვე ლიტერატურით.



მე-2 დღე დაიწყო ბრეინ-რინგის ჩემპიონატის განახლებით, რომელშიც საპრიზო ადგილები, მათ შორის მესამე ადგილი, დაიკავეს გუნდმა "ფესვი ხიდან", მეორე ადგილი _ გუნდმა "ავანგარდი", პირველი ადგილი _ გუნდმა "Allblacks". გამარჯვებულ გუნდში თამაშობდა 4 სამტრედიელი და 2 თბილისიდან ჩამოსული მოაზროვნე. ჩემპიონატის კულმინაცია იყო "რა? სად? როდის?" მეორე ტური, სადაც ჩემპიონობისთვის ბრძოლა ბოლო შეკითხვამდე თანაბარი ქულებით მიდიოდა და ღირსეული გამარჯვება მოიპოვა თბილისის გუნდმა "ზღაპარი", კაპიტანი შალვა ჩიკვილაძე.



მეორე ადგილი დაიკავა გუნდმა "Allblacks", კაპიტანი დავით მანჯგალაძე, მესამე ადგილი _ "ტური ტუპსის ნუტრიკულამ", კაპიტანი დავით ბახტაძე.

გამარჯვებულ გუნდებს საჩუქრად გადაეცათ სიგელები, წიგნები, ფასიანი საჩუქრები, იყო ფულადი ჯილდო _ 200, 300 და 500 ლარის ოდენობით.

გარდამავალი "ბროლის ბუს" მფლობელი გახდა გუნდი "ზღაპარი".

ჩემპიონატს ესწრებოდა იოანე და თემურ ვაშაკიძეების მამა. ირაკლი ვაშაკიძემ დასასრულს სიტყვით მიმართა მემორიალის მონაწილეებს, მადლობა გადაუხადა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას.

"სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა სააპელაციო ჟიურის წევრს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის წამყვანი სპეციალისტი ლაშა ლორია აფასებს ჩემპიონატს და ამბობს, რომ ტურნირი ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა, რაც როგორც ორგანიზატორების, ასევე, სტუმრების უდიდესი დამსახურებაა. განსაკუთრებით მადლობას უხდის მერიას და მერს ვალერიანე ფოცხვერიას უპრეცედენტო მხარდაჭერისათვის.

# ილია _ ერის სიამაყე

ასე დასათაურდა მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების მიერ ორგანიზებული მორიგი ღონისძიება, რომელიც დიდი ერისკაცისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180-ე წლისთავს მიეძღვნა.

როგორც ყოველთვის, დარბაზი ამჯერადაც ძლივს იტევდა დამსწრეთ, რომელთაც მაგიდებზე ილიას ბრძნული გამონათქვამები დახვდათ განფენილი.

საღამო გახსნა და სტუმრებს მიესალმა საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი, ქალბატონი ლამარა დუნდუა.

ღონისძიების ორგანიზატორთა თხოვნითა და დავალებით საღამო გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელ მდივანს, ლევან გაბეჩავას მიჰყავდა.

წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი ღირსეული სამტრედიელის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას უახლოესი თანამებრძოლის, თემურ ქორიძისა და საქართველოს სახალხო პოეტის, ჯანსუღ ჩარკვიანის ხსოვნას.

ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთვნენ არა მარტო ახალგაზრდა მკითხველები: ლუკა ტუღუში, თამუნა ჯინჭველეიშვილი, საბა ჩაჩუა, ანაბელი კანდელაკი, ვალერი კოპალეიშვილი, ბესო კახიანი, მონიკა ბოკუჩავა, ნინი აბრამიშვილი, ლიზი გაბუნია, არამედ ბიბლიოთეკის დირექტორი ლამარა დუნდუა, დირექტორის მოადგილე, ღვაწლმოსილი მსახიობი მზია ჩიხლაძე, სამკითხველო დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი რუსუდან კახიანი, ანალიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი იზაბელა ლეგაშვილი, მართლმადიდებლური სკოლის ქართული ენისა და ლიეტერატურის პედაგოგი ნინო ტონია.

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის თეატრალური დასის ახალგაზრდა მსახიობებმა, ფესტივალ "თეატრალური იმერეთის" გამარჯვებულმა (ახალგაზრდა მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელი) ნიკა ფხიკიძემ და ახალგაზრდა მსახიობმა ნინო ბაღდავაძემ შესანიშნავად წარმოადგინეს ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებიდან (რეჟისორი ლოლიტა ჯორჯიკია).

განსაკუთრებით მოხიბლა მსმენელი ეწრის საჯარო სკოლის მოსწავლის სოსო ვეზდენის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა.

საკუთარი პროგრამით წარსდგნენ დარბაზის წინაშე წმინდა მიტროპოლიტ ნაზარის სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეები, გვანცა ზამთარაძე და მარიამ ჭაფოძე, (ხელმძღვანელი, პედაგოგი ნინო ტონია) ამავე სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს საგალობელი და "მრავალჟამიერი".

მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიებამ ორ საათს გასტანა, გადაღლა არავის ემჩნეოდა.

"ილია ახალი, საქართველოს პროლოგია, გმირებს ჰკლავენ, მაგრამ არ კვდებიან"... კარგი ღონისძიება იყო, გმადლობთ მოწვევისათვის"... ასე დაასრულა მოკლე, თუმცა ღრმაშინაარსიანი გამოსვლა დეკანოზმა ანტონმა (ვაშაკიძე).

მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ მანანა სირბილაძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა, პედაგოგმა ალექსანდრე თევზაძემ, ღვაწლმოსილმა პედაგოგმა შუქრი ურუშაძემ, ისტორიკოსმა ისიდორე (მამული) ჯანელიძემ და სხვებმა მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებს, საბიბლიოთეკო გაერთიანების მესვეურთ დიდი ერისკაცის, წმინდა ილია მართლის ღვაწლის ღირსეულად წარმოჩენისათვის.

დაბოლოს, ილიას საიუბილეოა მიმდინარე წელი.

180 წელი შესრულდა ერისკაცის დაბადებიდან, 110 წელი მისი მუხანათური მკვლელობიდან, 30 წელი წმინდანად შერაცხვიდან.

"მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა" წერდა ილია.

ილია საქართველოსთან იყო ამქვეყნიურ ცხოვრებაში, დღეს კი, დღეს წმინდა ილია მართალი კვლავ ჩვენს ქვეყანას, საქართველოსა და ქართველებს მფარველობს და გვშუამდგომლობს უფალთან.

შთამბეჭდავი ღონისძიება ლამაზად დასრულდა.

კმაყოფილები ტოვებდნენ დარბაზს საღამოს მონაწილენი.

**ლევან გაბეჩავა**









# “ჩხიკვთა ქორწილი” “იმედის” ტყეში

**ნინო ნანიტაშვილი**

სრული ანშლაგით წარიმართა მიუზიკლი “ჩხიკვთა ქორწილი” ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში. დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა. პუბლიკას ჰქონდა მოლოდინი, რომ საყვარელ სპექტაკლში უკვე დაფრთიანებულ მონაწილეებს ნახავდა. შეგახსენებთ, რომ “ჩხიკვთა ქორწილი” სამტრედიაში ანსამბლ “იმედის” ხელმძღვანელმა, ანა აბზიანიძემ 2012 წლის ზაფხულში დადგა. სპექტაკლი ერთგულმა მაყურებელმა აღფრთოვანებით აიტაცა და დღემდე დარჩა ლამაზი მოგონებები.

2017 წლის ივნისიდან ანსამბლი “იმედი” განახლებული ვერსიით მუშაობას შეუდგა და ძველ მომღერლებთან ერთად საჭირო გახდა ახალი სახეების შერჩევა. შეიცვალა ძია თომა, გიორგი გოგიას ნაცვლად სპექტაკლში დათო თოდუა დაკავდა. საბა ჩაჩუამ ჩხიკვი ზაქარას შემდეგ ყვავი განასახიერა, ჩხიკვი ზაქარას როლზე ანსამბლის ხელმძღვანელმა გიორგი შენგელია აიყვანა. შეიცვალნენ კაჭკაჭები: ლეილუკა რუხაძემ, ბარბარე მიქელთაძემ და თათა ხუჭუამ განუმეორებელი ტრიო შემოგვთავაზეს.

ულამაზესი ხმით მაყურებელი დაატკბო მარი ტორონჯაძემ. ჩიორას როლში ნიჭიერმა შემსრულებელმა დარბაზი მონუსხა.

“ჩხიკვთა ქორწილის” სახასიათო პერსონაჟი წრუწუნა, იგივე სოსო ვეზდენი, არაჩვეულებრივი იყო თაგვის ამპლუაში.

ბექა თევზაძემ მეფის როლი ორგანულად მოირგო. 2012 წელს სამტრედიელ მაყურებელს იგივე სპექტაკლში არწივიონის უბადლო შესრულებით იმედი აბზიანიძე გამოარჩია. ულამაზესი იყო ჩხიკვი ქეთევანი. თავისი გრაციოზულობით დარბაზი მონუსხა მარიამ ლორიამ. 5 წლის წინანდელი პატარა ქეთევანი მაყურებელმა გაზრდილი და უფრო დამშვენებული ნახა.

საოცრად დამსგავსებოდა საკუთარ პერსონაჟს თორნიკე ბოლქვაძე. ორიგინალური თმის ფაქტურა ბიჭუნას ბუს იერსახეს ნამდვილად აძლევდა.

ბულბული _ ანი კობრავა თავის საყვარელ გარეგნობას უხამებდა ენატკბილი ფრინველის ხმას.

დები _ თებროლე და კესარია ივანიაძეები ჩხიკვების როლში არაჩვეულებრივ ტანდემს ჰქმნიდნენ. ჩხიკვებისთვის დამახასიათებელ მჭექარე ხმის ჟღერადობით.

ყვავის მეგობარმა, დათო მამასახლისმა კოდალას როლში თავისი პროფესიონალიზმი გამოავლინა: ტამტამებზე შესრულებით სპექტაკლს განსხვავებული ხიბლი შემატა. სპექტაკლი, რომლის დანიშნულება იყო, ერთი დაუვიწყარი საღამო ეჩუქებინა გემოვნებიანი მსმენელისთვის, მხურვალე აპლოდისმენტებით მიმდინარეობდა. მაყურებელი მთელი კონცერტის მანძილზე აჯილდოვებდა ტაშით ცალკეულ შემსრულებელს. განსაკუთრებული მხიარული განწყობა შემოიტანა სცენაზე ექიმის გამოჩენამ. დიდ სათვალეებიან საბა ჩაჩუას არ გაუჭირდა ყვავის როლიდან ექიმის ამპლუაში გარდასახვა.

სპექტაკლის ბოლოს მაყურებელი დარბაზს არ ტოვებდა. დიდი იყო მიუზიკლით მიღებული სიამოვნება, რაც გამოწვეული იყო დეკორაციებით, კოსტიუმებით, კარგი სამსახიობო მანერებით და რაც მთავარია, ვოკალითა და მრავალხმოვანი ჟღერადობით. ბედნიერებას ვერ ფარავდა ანსამბლის ხელმძრვანელი. ანა აბზიანიძე ამბობს, რომ იმ დღეს განახლებული “ჩხიკვთა ქორწილი” შედგა: “ემოციური დღე მაქვს, ზუსტად ის მივიღე, რასაც ველოდი. როდესაც ფარდა გაიხსნა, უკან მოვხედე მაყურებელს, დავინახე 400 კაცის გაცისკროვნებული სახე. გულში რწმენა ჩამესახა, რომ დღევანდელი დღე წარმატებით დასრულდება-მეთქი. სპექტაკლი 5 წლის წინ დავდგი. ჩემი ფონოგრამები როგორიც მინდოდა არ იყო ისეთი ხარისხიანი. გია ბალაშვილმა გამომიგზავნა ფონოგრამები, რომლის შემდეგაც გამიჩნდა სურვილი “ჩხიკვთა ქორწილი” განმეახლებინა. თამამად მინდა ვთქვა, რომ უნიჭიერესი შემსრულებლები მყავს. ყველა როლზე მისადაგებული, მინდოდა, პროფესიონალური შესრულება ენახა ჩემს სამტრედიელ მაყურებელს. ასეთი შედეგი მივიღეთ დღედაღამ მუშაობით. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ქორეოგრაფებს ნანა ბებიას და ქრისტინა ზაქრაძეს თავის ანსამბლ “ფანტაზიასთან” ერთად. იმდენად ნიჭიერი ქალბატონები არიან, ერთი შეთავაზებაც კი საკმარისი იყო, ჩემი ჩანაფიქრი სისრულეში მოეყვანათ. მიხარია, რომ ჩემს სამტრედიაში ასეთი ნიჭიერი დედა-შვილია. ერთადერთი სურვილი მაქვს, სამტრედიული “ჩხიკვთა ქორწილი” სხვა ქალაქებმაც ნახოს”.





სპექტაკლის ბოლოს სცენაზე ავიდა შპს “სამტრედიის მაცნეს” დირექტორი ბეჟან გოგია. მან ყველა “იმედელი” დააჯილდოვა ჩეხეთში გამართულ ფესტივალში გამარჯვებულის დიპლომებით.

“ჩხიკვთა ქორწილის” მონაწილეებს და ანსამბლ “იმედის” ხელმძღვანელს დარბაზიდან მიესალმნენ და საღამოს მაღალი შეფასება მისცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ, რაიონულმა პროკურორმა მალხაზ გეწაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრი. ოთარ ჩრდილელი სპექტაკლით იმდენად აღფრთოვანებული დარჩა, რომ ანსამბლს ბევრ სასიკეთო დახმარებას დაჰპირდა.

სპექტაკლი ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.





პახალელი

## ნიკო ნიკოლაძე, პირველი ინვესტიცია საქართველოში და ბათუმის ცრემლები

**ლევან გაბეჩავა**

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც დიდმა ერისკაცმა და პირველმა ევროპელმა ქართველმა ნიკო ნიკოლაძემ, პირველი ინვესტორი მოიწვია, დააინტერესა საქართველოთი, ჩვენი სასარგებლო წიაღისეულით. ცნობისათვის, ჰარიმანი გახლდათ ეს ინვესტორი. ის ჰარიმანი, ამერიკის ელჩი რომ იყო მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირში.

მაშინ ნიკო ნიკოლაძეს წვრილად დაუკითხავს ჰარიმანი, **ხომ არ მიაყენებდა რაიმე ზიანს სამუშაო საქართველოს, ქართველებს, რომელიც ინვესტორის საქმიანობას მოჰყვებოდა შედეგად.**



გრძელი შესავალი წერილს ბათუმში, პრესტიჟულ სასტუმროში გაჩენილი ხანძრის მძიმე შედეგების გამო გავუკეთეთ.

ამჯერადაც გზა ურმის გადაბრუნების შემდეგ გამოჩნდა (გამოჩნდა კი?)

მტყუან-მართლის ძებნა და გამოძიების შედეგები შვება ვერ იქნება დაღუპულთა ახლობლებისათვის, რაღა თქმა უნდა, სიცოცხლით სავსე იმ ახალგაზრდებისათვის, ხანძარს რომ ემსხვერპლნენ.

საკითხავი და საკვირველი ერთია მხოლოდ.

40 მილიონი ინვესტიცია, დასაქმებული 700 ადამიანი, “თანამედროვე” კომუნიკაციების და დიზაინის გიგანტი და ესოდენ დაუცველი?

არავინ უნდა იყოს პასუხისმგებელი მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე?

ახლა ირგვლივ მიმოვიხედოთ, როცა ბათუმში ასეთი ვითარებაა, რამდენადაა დაცული თითქმის ყველა ქალაქში სოკოებივით მომრავლებული სასტუმროები?

რამდენი სკოლა, საბავშვო ბაღი, საზოგადოებრივი თავშეყრის ობიექტი აიგო ბოლო წლებში და რამდენ მათგანშია დაცული უსაფრთხოების ნორმები?

ტარდება ინსტრუქტაჟი ხანძრის, მიწისძვრის და ა. შ. მოვლენებისას, თუ როგორ უნდა მოიქცეს ხალხი?

ძველებური აზროვნებააო, შემედავებიან გათინეიჯერებული ჩემზე ძველები, მაგრამ დაუდევრობამ თუ სიჩქარემ, თუ... რა მოგვიტანა, სახეზეა ბათუმის ამაზრზენი მაგალითის სახით.

მართლაც, სადა ჰყავს საქართველოს დასაკარგი შვილები, ცრემლის ტბაში დასახრჩობი დედები, მეუღლეები, სატრფოები?

საქართველო გლოვობს დაღუპულთ.

# "მე მივდივარ, ახლა თქვენი ჯერია"...

ნათია ნაცვლიშვილი

***დაბლა გომის საჯარო სკოლაში განსაკუთრებული დღეა, დღე კოლეგიალური თანადგომის, სიყვარულის გამოხატვის, მოსწავლის მიერ მასწავლებლის ამაგის დაფასების, პატივისცემისა და სამადლობელი სიტყვების არ დაშურებისა. სკოლა ღვაწლმოსილ პედაგოგებს ნაზი ჩხაიძეს და დარეჯან მილორავას აცილებს. 40 წლიანი მუხლჩაუხრელი შრომის შემდეგ ამ ქალბატონებმა თავიანთ პედაგოგიურ მოღვაწეობას ზღვარი დაუდეს და გზა ახალგაზრდა კოლეგებს დაუთმეს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი ნათელი აზროვნებით და ენერგიულობით გამოირჩევა, მაინც ასე გადაწყვიტეს. მათ თვალზე ახლა მადლიერების ცრემლი კიაფობს, სიხარულით ისმენენ მოსწავლეთა სიტყვებს მათი განვლილი გზის შესახებ.***





მათ ხელში დავაჟკაცდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, მათ გაუკვალეს გზა უამრავ ახალგაზრდას, ახლა საზოგადოება ღირსეულ წევრებად რომ მიიჩნევს. ყურადღებით ისმენენ პედაგოგები მოსწავლეთა თბილ სიტყვებს. მათ გონებაში კი კინოკადრებივით გაიელვებენ ემოციის დამტევი დღეები და გაკვეთილები. სკოლის ამჟამინდელი დირექტორიც ხომ მათი ნამოწაფარია, მისი შვილების თაობაც ამ პედაგოგებისადმი თბილ სიტყვებს არ იშურებს. მერე რა, რომ ბავშვებს ხანდახან "მზე საყელოში ხელს ჩაავლებდა და გაიყვანდა გაკვეთილიდან"... სასკოლო ცხოვრების ბევრი ნიუანსი გაიხსენეს. მოსწავლეებმა პედაგოგებთან ბლიც-ინტერვიუ გამართეს და მათ კურიოზის გახსენება სთხოვეს. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, ნაზი ჩხაიძემ წლების მერე იუმორით გაიხსენა, როგორ დაეწია შატალოზე წასულ შვილს და მის კლასელებს ცირა მასწავლებლის ჭიშკართან. დარბაზში კი პედაგოგებმა გვითხრეს: შატალოზე წასული ის ბიჭი, ნაზი მასწავლებლის ვაჟიშვილი, საქვეყნოდ ცნობილი და წარმატებული ექიმ-ონკოლოგიაო. ნაზი მასწავლებელმა ორი საუკეთესო შვილი გაზარდა, მათემატიკის პედაგოგმა, დარეჯან მილორავამ კი, სამი. ახლა მათი მზრუნველობის სფერო მათი ლამაზი ოჯახებია.

სასკოლო ღონისძიებაში თითქმის ყველა კლასი ჩაერთო. მეცხრეკლასელმა ბიჭებმა საოცარი ემოციითა და ვაჟკაცური მუხტით წაიკითხეს ლექსები. ქართული ცეკვები კი მეხუთეკლასელებმა შეასრულეს და დარბაზში მყოფთა ბევრი აპლოდისმენტი დაიმსახურეს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტის, ალექსანდრე თევზაძისათვის დაბლა გომის სკოლაში ისტორიის პედაგოგად მუშაობის წლები საუკეთესოდ მოსაგონარი პერიოდია. ის პედაგოგებს მიესალმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის სახელით მადლობის სიგელები გადასცა. ალექსანდრე თევზაძე: "ქალბატონი ნაზი და ქალბატონი დარეჯანი ყოველთვის უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს და ცდილობდნენ, მოსწავლეებისათვის საგანთან ერთად ადამიანობაც ესწავლებინათ. დღეს დიდი პატივისცემით მინდა გითხრათ, რომ ადრეულად სწყვეტთ პედაგოგიურ საქმიანობას, თქვენი პროფესიონალიზმი ყოველთვის იყო ჩვენი ახალგაზრდა პედაგოგებისათვის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ვემსახუროთ ამ ფრიად საპატიო საქმეს და პროფესიას. მადლობა ამ ზომიერებისათვის, ყველაზე მეტად უჭირთ პედაგოგებს ფიქრი იმაზე, როდის მოვიდნენ და წავიდნენ. მადლობა, რომ ეს დამოკიდებულება გამოამჟღავნეთ, ახალგაზრდებს დაუთმეთ გზა. ჯანმრთელობას და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ!

ომარ ჩაჩუა, დაბლა გომის საჯარო სკოლის დირექტორი: "თქვენ ბრძანდებით ის ადამიანები, რომლებმაც თქვენი ღვაწლი დასდეთ ჩვენს სკოლას. თქვენს ენერგიას და განათლებას ჯერ წლები ვერ ერევა, მაგრამ გზა დაუთმეთ მომავალ თაობას და ამისათვის მადლობას გიხდით. საუკეთესო ადამიანები ხართ, ეს არის ცხოვრების სწორი ხედვა, ეს თქვენი ცხოვრების წესიდან გამოდის. ძალიან კარგად მუშაობდით, ჩვენი სკოლის პედკოლექტივისათვის დიდი გულისტკივილია, ჩვენს გვერდით რომ არ იქნებით, გაკვეთილებს რომ არ ჩაატარებთ, თორემ დანარჩენ შემთხვევაში სულ ერთად ვიქნებით, დიდი მადლობა თქვენ ერის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის. ძალიან გვიყვარხართ, ძალიან გაფასებთ. წარმატებებს გისურვებთ, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას."

ნაზი ჩხაიძე:" სასიხარულოა, რომ სკოლის პედაგოგებს აცილებთ, ძალიან დიდი პატივია ჩვენთვის. ამბობენ, ბედნიერია ის, ვინც მოიგონებს წარსულს და არ ამოიოხრებსო, სხვანაირ თაობებს ვასწავლიდით, მოსაგონარია ეს სანეტარო წლები, ის ჩემი გამოზრდილი და დაფრთიანებული თაობა თმაშევერცხლილი მიზის ახლა აქ და როგორ დატოვე სკოლაო, მეუბნებიან. სკოლა დავტოვე



ჩემი ნებით და არა ვინმეს ძალდატანებით. რა თქმა უნდა, ამ ნაბიჯის გადადგმას დიდი სევდა-ნაღველიც ახლდა. მერე დავფიქრდი, ეტყობა, კარგი მიკეთებია და არა ცუდი, ჩემი აღზრდილები სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობენ. ერთ-ერთი მაგალითია ომარ ჩაჩუა, მაკა ჩაჩუა, ლელა სულაქველიძე, ნანა ზაქარეიშვილი და სხვები... ვფიქრობ, ცუდი არ მიკეთებია, ალბათ, რაღაც ვალი მოვიხადე სამშობლოს წინაშე. "ჩამოკრავს ზარი და მუხლებს გვართმევს ეს ავაზაკიო," როგორც პოეტი იტყოდა, სიბერე მოდის .... მადლობის მეტი არაფერი მეთქმის ჩვენი კოლექტივის და მოსწავლეებისადმი".

დარეჯან მილორავა: "ძვირფასო და საყვარელო ადამიანებო, ძალიან ვნერვიულობ და განვიცდი ასე პომპეზურად რომ გვაცილებთ, მერიდება, მაგრამ ასე გადაწყვიტა ბატონმა ომარმა და კოლექტივმა, უღრმესი მადლობა. 40 წლის განმავლობაში მკაცრიც ვიყავი, დამთმობიც, მაგრამ სულ მოსწავლეების გვერდით ვიყავი. ვეუბნებოდი მათ: შეიძლება ადამიანი საქაღალდით ხელში დადიოდეს და სამი ფაკულტეტი ჰქონდეს დამთავრებული, მაგრამ, კაცად არ ვარგოდეს. უპირველესად ამას ვიტყვი: მე თუ შემდგარი ადამიანი ვარ, ნიკიტა ჩაჩუას და თამარ რუსიას დამსახურებაა, სკოლაში ახალგაზრდა მოვედი და მათ დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე. ეს არის გამორჩეული კოლექტივი, სადაც ყველას ყველა უყვარს, სადაც არ არის ჩხუბი, ერთურთს არ მტრობენ, იმიტომ, რომ ყოფილმა დირექტორმა ნიკიტა ჩაჩუამ დაამკვიდრა ეს ტრადიცია, ომარმა კი, გააგრძელა. მონოლითურად შეკრული და საყვარელი კოლექტივია, ვიდრე ეს სკოლა იარსებებს, იქნება ურთიერთპატივისცემა, უდიდესი მადლობა თქვენ, ჩვენო ძვირფასებო".

# საერთაშორისო აღიარება

ლევან გაბეჩავა

***"რა არის ორმოცდაშვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია, ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერებაზე გვიანია, არც რაიმე ადრეა". – წერდა ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რომელიც ბედის ირონიითა და უკუღმართობით სწორედ 47 წელი განისვენებდა განჯაში.***



საოცარი ბედი არგუნა ბარათაშვილს არსთა გამრიგემ. სიცოცხლეში ათიოდე მეგობარი ჰყავდა, გარდაცვალების შემდეგ კი, მთელმა საქართველომ გენიოს პოეტად აღიარა და არა მარტო საქართველომ.

საერთაშორისო მასშტაბით აღინიშნება მიმდინარე წელს კიდევ ერთი ღირსეული ქართველის 200 წლის იუბილე.

1817 წლის 15 (28) დეკემბერს დაიბადა იგი.

უსახსრობის გამო ვერც სასურველი განათლება მიიღო და ვერც საკადრისი სამსახური.

ცნობილი ქართველი მწერლის გრიგოლ ორბელიანის დისწული ბედს ემდუროდა და ბიძას, გრიგოლს სწერდა: "...ეცადე რომ რეინკამფთან დამანიშვნინო, ხომ ამ პირობიტ წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის. ვიცი დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია, ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება"...

ოჯახის ნათესავის მამუკა ორბელიანის დახმარებით, რომელიც განჯის მაზრის უფროსი იყო ნიკოლოზი მის თანაშემწედ ინიშნება, ყველაფერი კეთილად უნდა წარმართულიყო, მაგრამ არცთუ ძლიერი ჯანმრთელობის ნიკოლოზი ყაჩაღების დევნისას გაცივდა და 1845 წლის მარტში გარდაიცვალა. იქვე დაასაფლავეს განჯის ეკლესიის გალავანში.

37 ლექსი და ერთი პოემა, აი, ბარათაშვილის მთელი შემოქმედება, რომელშიც ეპოქის ძარღვის ფეთქვა, ეპოქის სულისკვეთებაა ასახული.

"ბარათაშვილი სწორედ ნორჩი უნდა გაცლოდა ამ სოფელს. პოეტი – მოხუცი მე ვერ წარმომიდგენია. პოეზია ბარათაშვილისა მუდამ ნორჩია, განვლენ საუკუნენი, ათასი წლები და მისი პოეზია ისევ ნორჩი, ისევ ახალგაზრდა იქნება". – წერდა ივანე გომართელი.

47 წელი განჯაში, 35 წელი დიდუბის პანთეონში განისვენებდა ბარათაშვილი 1938 წელს კი, ქართველმა მწერლებმა იგი მთაწმინდის მიწას მიაბარეს.

ქართული ნიჭის, გენის დაფასებაა ბარათაშვილის საერთაშორისო აღიარება.

# შემოდგომის ფერითა და ხილთა ფესტივალი მეოთხე ბაგა-ბაღში

ნათია ნაცვლიშვილი

***ქარვისფერ შემოდგომას იმერეთში რა სჯობს, ბატონო! ჰოდა, ბაგა-ბაღის თვალხატულა აღსაზრდელებმაც უნდა შეიცნონ ამ ჯადოსნური პერიოდის ხიბლი. შემოდგომის ფერებში აელვარებული მეოთხე ბაგა-ბაღის ეზო გამვლელ-გამომვლელს თავისკენ იზიდავდა, ბარაქიან ქართულ შემოდგომას აქ, ამ ეზოში მოერეკა მთელი თავისი ლაშქარი: პედაგოგი ყურძენს კრეფს, მშრომელი ვაჟკაცები საწნახელში ჩამდგარან, გოგონები თათარას ადუღებენ და ძაფზე ასხმულ თხილს ფელამუშში ავლებენ, მიკრო-სასწაული _ ჩურჩხელა რომ მოამზადონ. ხონჩას ყველა საშემოდგომო ხილი ამშვენებს, აზიურ ფაროსანას სასწაულებრივად გადარჩენილი კარალიოკიც კი... მაგრამ სანახაობა მარტო საცქერლად საამო როდია, საამოა სასმენლადაც.***

იდეა, ბაგა-ბაღში საშემოდგომო ზეიმის მოწყობისა, სკოლამდელი გაერთიანების მეთოდისტებს მარინა ქოჩოვსა და მარინა ბაღდავაძეს გაუჩნდათ. ეს ერთადერთი ბაღია მუნიციპალიტეტში, რომლის პედაგოგებიც აღსაზრდელებთან ყოველდღიურად სასკოლო მზაობის ჯგუფის ახალი სახელმძღვანელოთი მუშაობენ. პროექტი გასულ წელს ჩაეშვა და შედეგები უკვე სახეზეა. ამ სახელმძღვანელოთი სხვა ბაგა-ბაღებში კვირაში ერთი დღე მიმდინარეობს მეცადინეობა. მეთოდისტი ქალბატონები განსაკუთრებულად ღელავდნენ, მაგრამ სანერვიულო არაფერი იყო. ღონისძიებამ ყველა კომპონენტით გაამართლა. მეოთხე ბაგა-ბაღის მმართველი, ნანა დუნდუა შემოდგომისფერ მოსასხამში დაგვიხვდა, მან ტრადიციული წამყვანის ფუნქცია შეითავსა. 5 პედაგოგი თავის აღსაზრდელებთან ერთად განსხვავებულ თემას შეეჭიდა. პირველად პედაგოგმა ნანა ლეკვეიშვილმა და მისმა პატარებმა წარმოადგინეს მხატვრული ნომერი თემაზე _ამინდი. ულამაზესმა მზემ სხივები მოგვაფრქვია და გვითხრა: მე სინათლის უშრეტი წყარო ვარ, უჩემოდ დედამიწაზე სიცოცხლე არ იარსებებდაო. მერე წაიჩხუბნენ მზე და წვიმა, ბოლოს შეთანხმდნენ, რომ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის ორივე საჭიროა. ბავშვებმა ამინდის თემაზე ფუნდამენტური ცოდნაც გამოავლინეს და სხვადასხვა სახალისო აქტივობები შემოგვთავაზეს. კოსტიუმირებულნი არ იყვნენ, მაგრამ ცოდნით იყვნენ დატვირთულნი პედაგოგ მარინა კაკაბაძის აღსაზრდელები. მათი თემა იყო _ მცენარეები, ამ ბავშვებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ღირსეული ფლორისტები ეზრდება, პატარებმა უხვად წარმოადგინეს თავიანთი ნამუშევრები, მოიტანეს ნერგები, თქვეს, რომ მცენარესაც ისე სჭირდება მოფერება, როგორც ცოცხალ არსებას. გამოავლინეს შესაშური ცოდნა, მათ იციან, ვინ არის ზოოლოგი, ბოტანიკოსი, რა არის ჰერბარიუმი, იმოგზაურეს და სიმღერით გვამოგზაურეს საქართველოს ულამაზესი ბუნების წიაღში. ბოლოს მარინა კაკაბაძის აღმოჩენა _ ხატვა ბუნებრივი საღებავებით. მისმა მოსწავლეებმა სახატავ საშუალებად დამწვარ-დანახშირებული ხე გამოიყენეს, ასევე სხვადასხვა მცენარე, მათ შორის ჭიაფერად წოდებული მცენარე. მესამე ლოკაცია პედაგოგ მაკა ჯანელიძის აღსაზრდელების კუთხეა. მათ წარმოადგინეს თემა: შემოდგომის ხვავი და ბარაქა. აქაც სისხარტე, ნიჭიერება, ცეკვა, სიმღერა და ლექსი გვეგებება. აქ ჰაერში ღვინის და ვაზის სურნელი დგას, შემოდგომაც აქ არის _ თავზე ფოთლების გვირგვინით. ამ ლამაზ, პატარა ქალბატონს ხონჩით მიაქვს ხილი მომდევნო ლოკაციასთან, სადაც შემოდგომის სურნელი ყველაზე მსუყედ და მძაფრად შესაგრძნობია. ეს ლოკაციაა _ ბაზარი. ამ თემის წარმდგენნი კი, პედაგოგი ნინო რუხაძე და მისი აღსაზრდელები არიან. ისმის უკვდავი მუსიკა ‘‘კავკასიური ცარცის წრიდან’’ იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ ჩქარა!... ბავშვებმა გამოავლინეს ცოდნა მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ასევე, ფერმის შესახებ, რადგან ბოსტნეული ფერმერებს მოჰყავთ. გამართეს ყიდვა-გაყიდვა, კარგად იანგარიშეს, ხურდაც დათვალეს. იციან პატარებმა, რა არის საჭირო პროდუქტის შესაძენად, როგორ შეფუთონ პროდუქტი, როგორ აწონონ სასწორზე და მრავალი სხვა... მერე პედაგოგმა ტომარაში ჩაყრილი ხილი და ბოსტნეული სათითაოდ ამოაღებინა მათ პატარა თითებით, მათ უნდა გამოეცნოთ ხელის მოძრაობით ყველაფერი, რაც ხელში მოხვდებოდათ. შემოდგომის ბოლო აკორდი მუსიკალურია! აქ პედაგოგი გულო ბოხუა და მისი აღსაზრდელები გვეგებებიან. ამ ლოკაციაზე უიშვიათესი მუსიკალური საკრავების გამოფენაა. ზოგიერთმა მინიატურულმა ინსტრუმენტმა ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ დირექტორი, მელომანი ბეჟან გოგია აღაფრთოვანა, რომელიც ღონისძიებას ბაბუის სტატუსით სტუმრობდა. დასაწყისში იოჰან შტრაუსის ვალსი აჟღერდა, მასწავლებელს ბავშვებმა ამცნეს, რომ მუსიკა შეიძლება იყოს მაჟორული და მინორული. პატარებმა წარმოდგენილი ყველა ინსტრუმენტის დასახელება იციან. იციან, რა არის ორკესტრი, ვინ ქმნის მუსიკალურ ნაწარმოებს და სხვა... პატარებმა თავიანთი ხელით დამზადებული ინსტრუმენტებიც წარმოადგინეს. ბოლოს ერთობლივი ცეკვა შესრულდა და პრინცმა კონკია იპოვა. ამჯერად კონკიას როლში ნანა დუნდუა მოგვევლინა. ენერგიული ქალბატონი ლექსებით მიესალმა აღსაზრდელებს, აღმზრდელებს, მოეფერა მათ და მადლობა გადაუხადა ასეთი ულამაზესი დღესასწაულის გამართვის გამო. ‘‘ღმერთო, მოგვეცი იმდენი ძალა, რომ სწავლის ძირი გავხადოთ ტკბილი’’ _ განაცხადა ნანა დუნდუამ. ‘‘უდიდესი მადლობა ქალბატონ ნანას და ყველა პედაგოგს იმისათვის, რაც მათ გააკეთეს, მათ შესანიშნავად გაართვეს თავი ამ საინტერესო დავალებას, ხუთივე პედაგოგი თავის აღსაზრდელებთან ერთად საუკეთესო იყო’’. _ განაცხადეს ჩვენთან საუბარში სკოლამდელი გაერთიანების მეთოდისტებმა.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილე, მარინა შენგელია: ‘‘აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი დღით, სიტყვები არ მყოფნის, ნანა დუნდუა საუკეთესო მენეჯერია, აღსაზრდელებმა და პედაგოგებმა გაგვაოცეს. დიდი ენერგია ჩადეს მეთოდისტებმა, აღმზრდელებმა. ეს ერთადერთი ბაღია, რომელიც გადის ამ სასკოლო მზაობის პროგრამას, ხუთ ჯგუფს აღებული ჰქონდა ხუთი თემა: ამინდი, მცენარე, შემოდგომა, ბაზარი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ყველაფერი ერთმანეთს იდეალურად შეერწყა და გრანდიოზული შემოდგომის დღესასწაული მივიღეთ. მეტი სივრცე რომ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა შემოდგომის დღესასწაული, ღიმილი ჰქონდა სახეზე ყველა ბავშვს და ეს დღე მათთვის მუდამ დაუვიწყარი იქნება, მადლობა დღევანდელი დღისთვის’’. ოცდამეერთე საუკუნის ღონისძიება უწოდა ბეჟან გოგიამ მეოთხე ბაგა-ბაღელთა მიერ მოწყობილ საშემოდგომო ზეიმს.















ვისაც ლიტერატურა უყვარს

# კომპიუტერი წიგნიერების ახალი სახეა

ნათია ნაცვლიშვილი

*ეს სკერ-ინტერვიუა, გაგზავნილ კითხვებზე გამოგზავნილი პასუხებით. რესპონდენტი თეა მეფარიშვილი ჩვენს შეუვალ სურვილს ინტერვიუს აღებისას, წინ ვეღარ აუდგა, არადა, თავმდაბლად გვეუბნებოდა, მე რა ამ რუბრიკაში მოსაწვევი ვარო? მკითხველი კი დარწმუნდება, რა ინტელექტი და ნიჭიერებაა ამ სიფრიფანა გოგოში.*

*არის თსუ-ის ფილოლოგიის მაგისტრი, პატრიარქის სახელობის სტიპენდიანტი 1996 წლიდან დღემდე. მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ფუნდამენტურ გამოცემაში, მათ შორის, სამების საკათედრო ტაძრის, ფეტვიაშვილის მიერ ილუსტრირებული სახარების ტექსტის რედაქტირებაში. არის 100 ტრაპეზის სახარების ტექსტის თანარედაქტორი. ჰაგიოლოგიური კვლევის ცენტრის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1996-2008 წლებში), თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი (1998-2008 წლებში), აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მკვლევარი (1996-2008 წლებში).*

*საქართველოს მართვისა და ხარისხის უნივერსიტეტის და კოლეჯის ენათმეცნიერების, მეტყველების, კულტურის, ქართული ენისა და ლიტერატურის ლექტორი (2005-2008 წლებში).*

*ამჟამად მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლის საქმეთა მმართველია.*

**_ თეა, ზოგის აზრით, სულაც არ დგას დღეს საზოგადოება დილემის წინაშე _ წიგნი თუ კომპიუტერი. გემოვნების ამბავია, სად წავიკითხავთ ამა თუ იმ ლიტერატურულ ტექსტს. შენი აზრით, აქვს თუ არა წიგნს რაიმე უპირატესობა, თუ ჯობია, ისევ ელექტრონული წიგნები ვიკითხოთ ან ინტერნეტში, ან თუნდაც, მობილურ ტელეფონში ვიკითხოთ ტექსტი?**

_ მადლობა ნათია, ამ შეკითხვისთვის. დამეთანხმებით, ამ თემაზე ხშირად საუბრობენ უფროსები და თანაც ამასაც ამატებენ: კომპიუტერი მოკლავს წიგნს...

ერთი ძველისძველი გადმოცემის თანახმად, დამწერლობა ეგვიპტელთა ღმერთს ტოტს შეუქმნია და ფარაონისათვის უთქვამს: ამით კაცთა მოდგმას დავამახსოვრებ იმას, რაც შეიძლება დაავიწყდეთო. ფარაონი შეშფოთებულა; ჯერ ტოტის გამოგონებაზე მიუთითებია, შემდეგ ადამიანზე და უთქვამს: ეს (დამწერლობა) მოკლავს ამას (მეხსიერებას). ცხადია, დღეს წერასა და კითხვას აღარავინ უფრთხის, რადგან ადამიანები დარწმუნდნენ, რომ იგი მეხსიერებას კი არ კლავს, არამედ აწრთობს, ძალას მატებს.

XV საუკუნეში, როცა ვიქტორ ჰიუგოს ''პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში'' მოთხრობილი ამბები ხდებოდა, წიგნის ბეჭდვა ახალი გამოგონებული იყო. მაშინ ადამიანთა აღზრდისთვის ძირითადად ტაძრის ფრესკებსა და ქანდაკებებს იყენებდნენ, წიგნს კი უნდობლობით ეკიდებოდნენ _ ადამიანი ღმერთს არ დააშოროს, ფუჭი ცნობისმოყვარეობა არ გაუღვივოსო. ამიტომაც მიუთითა ჰიუგოს რომანის პერსონაჟმა _ აბატმა კლოდ ფროლომ _ ჯერ წიგნზე, შემდეგ ტაძარზე და ბრძანა: ეს (წიგნი) მოკლავს ამას (რწმენას).

ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ახლა ვითარება შეიცვალა და თვით წიგნსაც გამოუჩნდნენ კონკურენტები. ჯერ ფოტოგრაფიული გამოსახულება ამოძრავდა და კინოხელოვნება გაჩნდა, შემდეგ კი ტელევიზორმა დაიპყრო ქვეყანა. ამიტომაც ახლა ადამიანთა შიში წიგნის მომავალს დაუკავშირდა. დღეს ჯერ კომპიუტერზე მიუთითებენ, შემდეგ წიგნზე და კვლავ იმავე ფრაზას იმეორებენ: ეს (კომპიუტერი) მოკლავს ამას (წიგნს). ნუთუ მართლა ასე უნდა მოხდეს? აქ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: არსებობს ორგვარი წიგნი: საკითხავი და საცნობარო. პირველს ჩვეულებისამებრ, თავიდან ბოლომდე ვკითხულობთ; მეორეს (ცნობარებს, ენციკლოპედიებს) კი ხანგამოშვებით, რათა საჭირო ცნობები ამოვიკითხოთ. კომპიუტერს შეუძლია მეორე სახის წიგნი შეცვალოს, მაგრამ პირველს ვერ შეცვლის!

როცა ადამიანი 10-12 საათის განმავლობაში უზის კომპიუტერს (რაც ჩვენში ასე ხშირია) და დაღლილობისაგან ლამის თვალები გადმოსცვივდეს, ბუნებრივია, სავარძელში მოხერხებულად მოკალათების და საყვარელი ლექსის ან მოთხრობის გადაკითხვის სურვილი გაუჩნდეს. კომპიუტერი წიგნიერების ახალი სახეა. კომპიუტერს შეუძლია ათასგვარი ინფორმაციის მოწოდება, მაგრამ წიგნის შეცვლა არ შეუძლია! კომპიუტერის გამოგონებით ადამიანმა დიდი ხნის ოცნება აისრულა: მას შეუძლია სურვილისამებრ ცვალოს და შეავსოს ტექსტები. მაგრამ მთავარი მანქანა, რომელიც ურიცხვი ტექსტის შექმნის საშუალებას იძლევა, ათასწლეულების წინ არის გამოგონებული და მას ანბანი ჰქვია!

და მაინც, ვფიქრობ, მკითხველმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რომელ მათგანს მიანიჭებს უპირატესობას და იზრუნოს წაკითხულის ხარისხის გააზრების ამაღლებაზე და არა უშუალო წყაროზე _ თუ საიდან კითხულობს ტექსტს, სამყაროში, სადაც ერთ-ერთ ბესტსელერად ჰარი პოტერი გვევლინება, მგონია, რომ მეორე ხარისხოვანია ფურცლისა და ტექნიკის დაპირისპირება.

**_ რა ჟანრის ნაწარმოებებს ანიჭებ უპირატესობას? თუ ჟანრები წლებთან ერთად მრავალფეროვნდება?**

_ წლებთან ერთად მოგონებები, გამოცდილება და ფასადები მრავალფეროვნდება, ჟანრი ბავშვობიდან დეტექტიური მიზიდავდა. ალბათ, გააჩნია წაკითხვის დროს რა ხასიათზე ვარ. შეკითხვა რომ შემოვაბრუნოთ და ასე დავსვათ: კითხვის დროს ყველაზე მეტი ემოცია რომელი პერსონაჟიდან მიმიღია, რომელმა პერსონაჟმა იქონია ჩემზე გავლენა?

ალბათ ასე ვუპასუხებდი: ბულგაკოვის ''ოსტატი და მარგარიტა''-მ ჩემში ნამდვილად ძლიერი ემოციები დაბადა. მარგარიტა მომწონს გამორჩეულად, ასევე ვოლანდის შემადგენლობა და განსაკუთრებით კატა (იცინის). საოცარი სცენაა, მდუმარედ რომ მიფრინავენ მფრინავი ცხენებით, ერთ-ერთი საყვარელი სცენაა. დოსტოევსკის პერსონაჟები არიან ძალიან, ძალიან გამოსაყოფი. დოსტოევსკი ''სიგიჟეა'' და აი, ქართველმა მწერლებმა უნდა შეძლონ, რაღაცნაირად ისეთი სიძლიერის შეტანა ჩვენს ლიტერატურაში, როგორც აქვს დოსტოევსკის. ვაჟა-ფშაველას პერსონაჟები მომწონს განსაკუთრებით, იმდენად, რომ ეს მომენტები სულიერებაში გადასდით.

ძალიან ბევრი ძლიერი პერსონაჟი გვყავს ქართულ ლიტერატურაში, შესაძლოა უარყოფითი პერსონაჟი, მაგრამ ძლიერი. იგივე შემიძლია გავიხსენო, თუნდაც, ჯავახიშვილის პერსონაჟი ჯაყო.

**_ პოეზია არ გიყვარდეს ფილოლოგ საქალბატონეს, წარმოუდგენელია, საყვარელი პოეტები ვინ არიან?**

_ ჩამოთვლა ვერ ვიტყვი რომ შორს წაგვიყვანს, ზოგადად, პოეტის გაგება შეცვლილია დღესდღეობით. მითხარი ვის ეძახი პოეტს და მე გეტყვი ვინ მიყვარს. (იღიმის).

ტერენტი

სადღაც დუმს მთები, სადღაც ნისლია...

ვერ გადავრჩები სულის წვალებას,

მე რომ გაფრენა არ შემიძლია

ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას...

**_ შენი თანაკურსელი იყო რატი ამაღლობელი, მოგვიყევი მის შესახებ, მასთან ურთიერთობის საინტერესო დეტალები გაიხსენე, ეტყობოდა მას, რომ საქართველოს ღირსეული პოეტი იქნებოდა?**

_ ზოგადად, ინტროვერტი სტუდენტი ვიყავი, მოსაგონარი ბევრი არაფერია, ვცდილობდი, კარგად მესწავლა და იმდენად გამიტაცა წითელი დიპლომის იდეამ, რომ საკუთარ ნაჭუჭში ისე ჩავიკეტე, თითქმის ვერარავის ვამჩნევდი. რატი ამაღლობელს რაც შეეხება, ერთ-ერთი უიშვიათესი სტუდენტი იყო, რომელმაც მიიპყრო ჩემი ყურადღება, პირველივე შეხედვით იტყოდი, რომ მის ისტორიას ბევრი მძიმე და არც ერთი წერტილი არ ექნებოდა.

**_ უკანასკნელი გროშები გაგიმეტებია წიგნისთვის?**

_ არა. უკანასკნელი გროშები ყავას ეკუთვნის.

**_ რომელიმე ცნობილი პოეტის ან მწერლის ავტოგრაფით ხომ არ გაქვს წიგნები? ან რომელიმესთან გქონია შეხვედრა, რომელიც შეგიძლია გაიხსენო?**

_ არის რამდენიმე მსგავსი რელიქვია ჩემს ბიბლიოთეკაში, მაგრამ მაინც გამოვყოფდი ტარიელ ჭანტურიას, რომელთან შეხვედრამაც ჩემი შეხედულება შეცვალა პოეზიაზე.

**_ ფრაზა ნაწარმოებიდან, რომელიც განსაკუთრებულად გიყვარს.**

_ ''ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორედ მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!''



**_ თანამედროვე მწერალთაგან და პოეტთაგან განსაკუთრებულად რომელი მოგწონს?**

_ არის ასეთი ნაკლებად ცნობილი ქართველი მწერალი, ფსევდონიმით _ რეგვენი ჰემინგუეი, ჯერჯერობით არ გეგმავს ფართო მასების ყურადღების მოპყრობას, მაგრამ თუ გადაწყვეტს, დამიჯერეთ მხოლოდ ჩემი ფავორიტი არ იქნება. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. სერიოზულად ხშირად ვკითხულობ რუსუდან რუხაძეს, გამორჩეულად მომწონს მისი ''ერთი თქვენგანი გამცემს'', რომელიც, არის მეორე კრებული და ის იქმნებოდა სამი წლის მანძილზე უფრო ხანგრძლივად, ვიდრე პირველი კრებული ''ჩაისთან მოსაყოლი ამბები''. აქ ამბავია თვითმკვლელ ტურისტზე და სასტუმროს დიასახლისზე, რომლებიც ერთმანეთს პირისპირ არ ხვდებიან, მონაცვლეობით შედიან ერთსა და იმავე ოთახში და ასე ერთმანეთის უნახავად ცვლიან განწყობებს. აქ ამბავია მასწავლებელსა და მოსწავლეზე, რომლებსაც კინოს სიყვარულის გამო თავდავიწყებით უყვარდებათ ერთმანეთი. აქ ამბავია პატარა თბილისელ ბიჭზე, რომელიც ცხოვრობს ძველ თბილისურ ეზოში, სადაც ყველას თავისი ღმერთი ჰყავს, მაგრამ საპირფარეშო საერთო აქვთ. ვფიქრობ, რომ მკითხველს, ვისაც არ წაუკითხავს რუსუდან რუხაძე, მას ძალიან საინტერესო შეხვედრა ელის წინ... ასევე ძალიან მომწონს ალეკო შუღლაია. მომწონს ჰიუ ლორის (დოქტორ ჰაუსის შემსრულებელი) წიგნი: ''იარაღით მოვაჭრე''... და რამდენიმე ავტორი, რომელსაც არ გაგიმხელთ, დავტოვოთ მხოლოდ ჩემთვის.

**_ რომელიმე წიგნის თავიდან გადაშლა მოგნატრებია? ასეთი წიგნთა-წიგნი გაქვს?**

_ ჩემთვის ყველაზე ხარისხიანი ტექსტი ვინც შქმნა, რამდენიმე ადამიანი შეიძლება იყოს ასეთი. ვცდილობ, ვაჟა-ფშაველა ახლა ხელახლა წავიკითხო, სამწუხაროდ, არ ვიცნობდი. კარგად ვერ ჩავუკვირდი. გალაკტიონი მინდა ხელახლა წავიკითხო და ჩავწვდე, რამდენადაც გამომივა. ასევე ჩასაწვდომია რუსთაველი. რომ მითხრან, შემდეგ ცხოვრებაში წიგნი ვიქნებოდი, ვიტყოდი, რომ ვიქნებოდი აი ისევ ის ბულგაკოვის ''ოსტატი და მარგარიტა'' და ვიდებოდი ერთი მაგარი ბიჭის ბიბლიოთეკაში წასაკითხად (ისევ იცინის).

**_ კოსმოსში რომელ წიგნს გაგზავნიდი, რომ გაიგონ, რა არის ლიტერატურა?**

_ კნუტ ჰამსუნის ''მისტერიებს'' და ''შიმშილს'' აუცილებლად გავგზავნიდი ალბათ, ასევე ბუკოვსკის ''მაკულატურას'', მთლიანად ავტორებს მთელი მათი შემოქმედებით გავგზავნიდი: დოსტოევსკის, ბულგაკოვს, კუნდერას, კამიუს და ჰესეს და ასევე, გავგზავნიდი მისალოც ბარათს, სადაც უცხო პლანეტელებს მივულოცავდი ახალ ბიბლიოთეკას. (იცინის)

## სიყვარულით გააგრძელებენ მათ მოვლა-პატრონობას

შემოდგომის ერთ მზიან დღეს, ჩემს მეოთხეკლასელებთან ერთად, ღირსშესანიშნავი ადგილების სანახავად გეზი სამეგრელოსკენ ავიღეთ. ცხენისწყლის გადაკვეთის შემდეგ ორპირისკენ წავედით. ვნახეთ ადგილი, სადაც ოდესღაც მდინარე ფაზისში ჩამოიარა იაზონმა ''არგოთი'', რომელსაც კოლხეთიდან ''ოქროს საწმისი'' უნდა წაეღო. ვისაუბრეთ, ცხვრის ტყავის საშუალებით, თუ როგორ მოიპოვებოდა და ახლაც მოიპოვება საქართველოში ოქრო. როგორ წამოვიდა ინგლისელი მეცნიერი ტიმ სევერინი იაზონის გზით საბერძნეთიდან კოლხეთში. ვისაუბრეთ მედეაზე და მის სახელთან მედიცინის დაკავშირებაზე.



უდიდესი პროზაიკოსის, კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმსაც ვეწვიეთ. ექსკურსიამძღოლმა მოსწავლეებს უამბო, თუ რომელ ქვეყნებში მიიღო კ. გამსახურდიამ უმაღლესი განათლება, რის შემდეგ მან ქართული პროზის შედევრები შექმნა. ვნახეთ მდინარე ზანა, ''რომელთანაც გაზრდილი ბიჭი ეჯიბრებოდა დიდ მისისიპთან გაზრდილ ბიჭებს''. ნოქალაქევი _ ციხე-გოჯი, აუღებელი ციხე-სიმაგრე, რომელიც ამდენი საუკუნეა აოცებს მნახველს. როგორ მოაღწია დღემდე ჩვენს წელთაღრიცხვამდე აშენებული ქალაქის ნანგრევებმა. ყველაზე მეტად ისაა სასიხარული, რომ მალე უამრავი ტურისტი იხილავს აღდგენილ ქალაქ-მუზეუმ ციხე-გოჯს. აქ მუხლჩაუხრელად მუშაობენ ქართველი არქეოლოგები, რომელთა დასახმარებლად ხშირად ჩამოდიან ქართველი და უცხოელი სტუდენტები. ისინი სულს შთაბერავენ არქეოპოლისს, ციტადელს და იმ ძველ აბანოებს, სადაც ძვ. წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში ცხელი და ცივი წყლები არსებობდა, სანახაობრივს გახდიან იმ ქალაქს, სადაც საუკუნეების წინ სპილოებითა და ტარანებით მოდიოდნენ მის დასაპყრობად, მაგრამ მდინარე ტეხურის პირას მდგარი ციხე-ქალაქი მიწასთან მაინც ვერ გაასწორეს.

სალხინო _ დადიანთა საზაფხულო რეზიდენცია. შესანიშნავი ბუნება, უამრავი დამთვალიერებელი. ეზო თანდათან ივსებოდა ახალდაქორწინებულებით და მაყრიონით. ამ ულამაზეს ეზოში თეთრკაბიანი დედოფლები პეპლებივით დაფარფატებდნენ. დადიანების დიდებულ ეზო-გარემოში სიცოცხლე და სიხარული ჩქეფდა ისე, როგორც, ალბათ, ოდესღაც.

მარტვილის მონასტრისაკენ გავაგრძელეთ ექსკურსია. სიწყნარე, უამრავი მოკიაფე სანთელი. ავანთეთ სანთლები და ღმერთს მადლობა ვუთხარით ყველაფერ იმისთვის, რაც იმ დღეს ვნახეთ, რაც აღვიქვით და გავითავისეთ როგორც ქართული. წლების შემდეგ ჩემი პატარები ისევე სათუთად, დიდი სიყვარულით გააგრძელებენ მათ მოვლა-პატრონობას, რათა მსოფლიოს დაანახონ, თუ როგორები ყოფილან მათი წინაპრები, მაგრამ ამას ყველაფერს შენარჩუნება უნდა. ამ საოცარი სანახაობებით მოხიბლული მოსწავლეები ემოციებს ვერ მალავდნენ. აზრთა სხვადასხვაობაც იყო. ზოგზე სალხინომ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება, ზოგისთვის ნოქალაქევი იყო განუმეორებელი, ზოგიც მარტვილითა და ძველი აბაშით დარჩა აღფრთოვანებული.

*ნათელა ჯიმშელეიშვილი*

*მე-2 საჯარო სკოლის IV კლასის დამრიგებელი*

## ჩემი უნივერსიტეტი

# შვილის ჭარბი სიყვარული ასწლოვანი მშობლის მიმართ

ლევან გაბეჩავა

*მომავალი წლის 8 თებერვალს საუკუნე ხდება საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან. ფაქტთან დაკავშირებით ახალ რუბრიკას ვთავაზობთ მკითხველს – "ჩემი უნივერსიტეტი".*

*რუბრიკის ხანგრძლივობა მკითხველთა აქტიურობაზეა დამოკიდებული. გაზეთი პერიოდულად გააშუქებს ყველა იმ ადამიანის თბილ მოგონებას უნივერსიტეტში სწავლასა და მათ მოღვაწეობას რომ უკავშირდება.*

*პირველი არჩევანი სამტრედიის ერთ-ერთი კოლორიტული ოჯახის ღირსეულ წევრზე, ასევე კოლორიტ ქალბატონზე, ზაირა გრიგოლიაზე ამაოდ როდი შევაჩერეთ. გარდა იმისა, რომ თავად ქალბატონი ზაირა და მისი შვილები გიორგი, ნინო ტონიები უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებულები არიან, ქალბატონი ზაირას წინაპრები და მისი ოჯახის უახლოესი ადამიანები, რომელთაც საზღვარგარეთ ჰქონდათ მიღებული საუნივერსიტეტო განათლება, იმ მეცენატ ერისშვილთა მხარდამხარ იდგნენ, რომლებიც არა მარტო იდეურად, არამედ საქმით გამოეხმაურნენ საშვილიშვილო ინიციატივას და ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს უნივერსიტეტის დაარსებაში.*

*არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, ვისაც სამტრედიის ისტორიაზე სურს წერა, ამ ოჯახის ისტორიით უნდა დაიწყოს.*

*სასიამოვნოა, რომ ღვაწლმოსილი ქალბატონი დღესაც გულისყურით ეკიდება ყველა მნიშვნელოვან ფაქტს, მოვლენას და ცდილობს, დავიწყებას არ მისცეს ჩვენი ერისა თუ ცალკეულ მოქალაქეთა კეთილი საქმეები.*

*ამ დღეებში იუბილარია ქალბატონი ზაირა გრიგოლია.*

*მადლობას ვუხდით მას საინტერესო საუბრისათვის, ყოველივე კარგს ვუსურვებთ ღირსეულ ოჯახთან ერთად და თავს ვაძლევთ უფლებას, ყველა იმ მოგონებას, რომელიც რუბრიკით "ჩემი უნივერსიტეტი" გამოქვეყნდება, ქალბატონი ზაირას მიერ გამოგზავნილი წერილის სათაური წავუმძღვაროთ "შვილის ჭარბი სიყვარული ასწლოვანი მშობლის მიმართ", რამეთუ სათაურშიც ჩინებულად ჩანს მისი დამოკიდებულება დედა უნივერსიტეტისადმი.*

*მაშ ასე, უნივერსიტეტის წლებს ქალბატონი ზაირა გრიგოლია იგონებს.*

XX საუკუნის 20-იან წლებში ქვეყნის მასშტაბით მოწინავე ოჯახებში იკრიბებოდნენ საზოგადოების აქტიური წევრები, რათა ემსჯელათ, ხალხისათვის განემარტათ უნივერსიტეტის არსებობის სიკეთე, მისი აუცილებლობა მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის, უდიდესი კულტურული ტრადიციებისა და ისტორიის მქონე ერისათვის.

სოხუმში პროვიზორ არჩილ ბიჭიას ძე გრიგოლიას (ავტორის ბაბუას) ოჯახში ასეთ შეხვედრებს ესწრებოდნენ: იონა მეუნარგია, თედო სახოკია, ცნობილი კურორტოლოგი ალექსანდრე გრიგოლია და მენიკი დადიანი, კატო მიქელაძე, მაშო დადიანი (მწერალ შალვა დადიანის და), მაშო დადიანის მეუღლე, ცნობილი ექიმი ვიანორ ანჩაბაძე.

ამავე წლებში არჩილ გრიგოლია საკუთარ კარ-მიდამოს სთავაზობს მეცენატთა წრეს საქველმოქმედო საღამოს გასამართად. ამ მოძრაობას რაჟდენ და ნატალია ნანეიშვილები, ცნობილი აკადემიკოსის, ბიძინა ნანეიშვილის მშობლები ხელმძღვანელობდნენ. სწორედ მათი ორგანიზებით 1914-1915 წლებში, ზედიზედ,


ზაირა გრიგოლია სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად.

სოფელ ილორში, მაშინდელი მისამართით წერეთლის 135 (ახლანდელი წერეთლის 241-ში) საქველმოქმედო საღამო-წარმოდგენები (ე. წ. "ალეგრა") გაიმართა, რომელთა შემოსავალი, მოსახლეობის შემოწირულობა გადაირიცხა უნივერსიტეტის შენებლობის ფონდში. შემოწირულობის აღწერილობის ასლები, ქვითრები და სხვა დოკუმენტები დიდხანს ინახებოდა გრიგოლიების ოჯახში, თუმცა, არჩილ გრიგოლიას ქონების ნაციონალიზაციის შემდეგ, სხვა მრავალ საგანძურთან ერთად გაქრა – დაიკარგა. ერთი პარადოქსიც, რომელიც საბჭოთა წლებს უკავშირდება: არჩილ გრიგოლიას სამი ვაჟიდან არც ერთს არ მისცეს უფლება, საუნივერსიტეტო განათლება მიეღო, აზნაურული წოდების გამო.

რაც შეეხება ჩემი სტუდენტობის წლებს, 1951 წელს ოქროს მედლით დავამთავრე სამტრედიის რკინიგზის მე-14 საშუალო სკოლა და გასაუბრების წესით ჩავირიცხე თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

აქ ჩემი პედაგოგ-მასწავლებლები იყვნენ ცნობილი პროფესორები, ღვაწლმოსილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, ჭეშმარიტი მოქალაქეები და სანიმუშო პიროვნებები: ალექსანდრე ვაჩეიშვილი, სოსო მრევლიშვილი, სერგო ჯორბენაძე, ისიდორე დოლიძე, თინათინ წერეთელი, გივი ჟვანია, გივი ინწკირველი, გიორგი გვიშიანი, ივანე სურგულაძე, ბორის ფურცხვანიძე, ვალერიანე მაისურაძე, ნათელა კიკვაძე, გრიგოლ ერემოვი, ზურაბ ჭარხალაშვილი, თედორე ლობჟანიძე. თითოეულ მათგანს უამრავი თბილი, სერიოზული მოგონება უკავშირდება.

უნივერსიტეტში რომ ჩავირიცხე, რექტორი ბრძანდებოდა ბატონი **ნიკო კეცხოველი,** დისციპლინით, ჰუმანურობითა და გონებამახვილობით გამორჩეული პიროვნება. განსაკუთრებით სწყალობდა ბატონი ნიკო სპორტსმენებს. ეს, ალბათ, მაშინდელი პოლიტიკის საკითხიც იყო და მისი პირადი ნებაც; ძალიან უყვარდა სხარტი აზროვნების ადამიანები, თვითონ იჩენდა ინიციატივას მათთან დასაახლოებლად, ერთგვარად ათამამებდა კიდეც. თუმცა ზერელობას, დაუდევრობას, უწესრიგო ჩაცმას, შეუფერებელ იერ-სახეს სტუდენტს არ პატიობდა; თვალყურს ადევნებდა თითოეული სტუდენტის გზას; ჩემი ნაშრომიც გასაუბრებაზე პირადად წაიკითხა; თემა იყო – "რაზე უნდა წეროს თანამედროვე მწერალმა". შერჩეულობას, ლოგიკურ ადგილებს მიაპყრო ყურადღება, მოიწონა და დადებითად შეაფასა, ბატონი ნიკო ეცნობოდა სტუდენტთა ბიოგრაფიულ მონაცემებს, თითოეულ დეტალს პრიზმაში ატარებდა. უნივერსიტეტში მოსწავლე-ახალგაზრდობის რიცხვი მაშინ ესოდენ ასტრონომიული არ იყო, არც ე. წ. "მობილობა" იყო წესად შემოღებული. პიროვნებები ადრეულ ასაკშივე ინდივიდუალიზმით გამოირჩეოდნენ, მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას ამჟღავნებდნენ. ბატონი ნიკო ყოველივეს შეფასებას და დაფასებას ახერხებდა.

იყო ასეთი ისტორია: ჩვენი კურსი შედგა, მაგრამ ერთ-ერთ სტუდენტს, სახელად "ტოჩკას", ბატონმა ნიკომ უფლება არ მისცა, ლექციებს დასწრებოდა, ვიდრე უნივერსიტეტისთვის შესაფერის, მისაღებ სახელს არ დაირქმევდა. ამ პროცედურას ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა, მაგრამ უნივერსიტეტის ავტორიტეტი უფრო მაღლა იდგა, სტუდენტის "სახელი" კი სასწავლებლის იმიჯით იყო დაკავშირებული. ცოდნას აძლევდნენ, ამავე დროს ადამიანურ კეთილსინდისიერებას შთააგონებდნენ.

გავიხსენებ ასეთ ფაქტს. ქალბატონი თინათინ წერეთელი ყოველთვის კრძალვითა და პატივისცემით ახასიათებდა უფროს კოლეგებს, მასწავლებლებს, ბედავდა რეპრესირებულთა ხმამაღლა გახსენებას, რაც ჯერ კიდევ მაშინ გმირობის ტოლფასი იყო. ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა რეაბილიტაცია გაცილებით გვიან დაიწყო. მაგალითად, ის უნივერსიტეტის აუდიტორიაში ჰყვებოდა ცნობილი იურისტის, ადვოკატ ზოზო ნანეიშვილის (წარმოშობით სამტრედიელისა და ჩვენი ოჯახის უახლოესი ნათესავის) პარიზულ ისტორიას, რომ მან საფრანგეთის დედაქალაქის ფართო ქუჩაზე ხელით შეაჩერა გაქანებული "ტროიკა", ძლიერი აღნაგობისა და ფიზიკური წრთობის ადამიანი, ამავდროულად, მტკიცე პიროვნება იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ კულტურული გენოციდის პირობებში არ აპატია ზოზო ნანეიშვილს ეს გამორჩეულობა, მაღალი პროფესიონალიზმი და აკადემიზმი. ქალბატონი თინათინი ჰყვება იმ სახიფათო ამბებს, რომლებიც მე ჯერ კიდევ შინ ბებიასაგან მქონდა მოსმენილი.

ქალბატონ თინათინს სერიოზული მეცნიერული უთანხმოება ჰქონდა თავის ყოფილ პედაგოგთან ალექსანდრე ვაჩეიშვილთან. თუმცა მისი დაუდევრად მოხსენ-


ზაირა გრიგოლია

იება მაინც არ აპატია ერთ-ერთ ჩვენს თანაკურსელს. ეს იყო საუნივერსიტეტო ეთიკის, კოლეგიალობისა და ადამიანური ურთიერთპატივისცემის ქრესტომათიული მაგალითი. დაუვიწყარია ამ დიდი პიროვნებებისაგან მოსმენილი ლექცია-სემინარები. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო საგამოცდო სისტემა, მკაცრი, მაგრამ ობიექტური და ადამიანური, შიშისა და სტრესის გარეშე, მასწავლებლები გვანუგეშებდნენ, გვიქმნიდნენ თბილ, უსაფრთხო გარემოს, გვამჩნევდნენ რა საგამოცდო მღელვარებას. სასურველი შეფასების მოლოდინში თვითონვე გვამხნევებდნენ და გვთავაზობდნენ ცოდნის მაქსიმალურად გამოვლენის პირობას.

მახსენდება სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის პედაგოგი, ბატონი ივანე სურგულაძე გამუდმებით მომმართავდა შეკითხვით, იყო თუ არა ჩემი ნათეს-



ავი ისტორიკოსი, პროფესორი კონსტანტინე გრიგოლია. მე უარვყოფდი, რადგან ამ ბატონთან ნათესაური კავშირის შესახებ არაფერი მსმენოდა და პირადადაც არ ვიცნობდი. ასეთი უარყოფა აკვირვებდა პროფესორს და ამ გაკვირვებას მიმიკით და ჟესტიკულაციით გამოხატავდა. აოცებდა პროფესორთან ნათესაობის უარყოფა სტუდენტისაგან მაშინ, როცა საგანგებოდ ეშურებიან ასეთი ურთიერთობების გამოძებნას. მე უფრო ის მახარებდა, როცა დამოუკიდებლად მიღწეული წარმატების შემდეგ იგებდნენ ჩემ შესახებ ნათესავები. სტუდენტებს რომ თავისუფლად ეაზროვნათ, არც ის იყო გამორიცხული, ვინმეს დამხმარე მასალითაც ესარგებლა, ეს იმდენად იყო დასაშვები, რამდენადაც თვით გამოცდაც სწავლისა და შემეცნების პროცესია. მოუმზადებელი და გაუთვითცნობიერებელი სტუდენტი მხოლოდ თვალის ერთი გადავლებით გამოცდას ვერ ჩააბარებდა.

პროფესორმა გიორგი გვიშიანმა გამოცდაზე თეზისებით სარგებლობის უფლებაც მისცა სტუდენტებს. მართალია, ზოგი საგანი თავისი შინაარსით იმჟამინდელ იდეოლოგიას ასახავდა, მაგრამ მაღალი სულის პედაგოგები მარქსისტული იდეოლოგიის მძიმე ტვირთს გვიმსუბუქებდნენ და ამ იდეალების თავს მოხვევით არ გვბოჭავდნენ. უფრო მეტიც, ანტისაბჭოურ პოზიციასაც გამოხატავდნენ. თუ არ ჩავთვლით ერთეულ შემთხვევას, ერთ-ერთ საღამოს, აღდგომის წინა დღეებში ხმამაღლა მოგვიხდა მეგობრებს შეთანხმება, რომ ეკლესიაში ლოცვაზე უნდა წავსულიყავით. ჩვენი საუბარი უნივერსიტეტის ეზოში მოისმინა დიამატის (დიალექტიკური მატერიალიზმის) ლექტორმა. მომდევნო ლექციაზე თემა იყო "მეცნიერება და რელიგია", (კალენდარულად, შემთხვევით თუ საგანგებოდ) მასწავლებელმა მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა – "მგონი, აქ ზოგიერთები ეკლესიაშიც დადიანო". მსგავსი ბრალდება იმხანად საკმარისი ხდებოდა კომკავშირული სასჯელისათვის, ხმებიც დადიოდა, რომ ქაშვეთის წინ კომკავშირის რაიკომია და იქიდან ტაძარში შემსვლელებს სურათებს უღებდნენო. პროფესორის სიტყვები მუქარასავით გაისმა. შიშისა და ათეისტი მასწავლებლის სიბრალულის გრძნობები ერთმანეთს შეერია. ჩვენ ეკლესიაში მაინც დავდიოდით.

ჩემი სტუდენტობის ხანას 1956 წლის 9 მარტის მოვლენები დაემთხვა. ისევე, როგორც ჩემი შვილებისა – 1989 წლის 9 აპრილს. იდგა საბჭოური ეპოქა, ე. წ. "ხრუშჩოვის პერიოდი". გამოცხადდა "სტალინის კულტი", დაიწყო მისი სახელის დევნა, შეურაცხყოფა. საქართველოში ამ მოვლენამ ეროვნული თვითშეგნება გააღვივა. ეს პროცესი აღქმული იქნა, როგორც საქართველოს წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა. გამძაფრდა ეროვნული მოძრაობა. ეროვნულ მოღვაწეთა ახალი პლეადა გამოჩნდა სარბიელზე. თუმცა ეს "სარბიელი" არალეგალური იყო. განსაკუთრებით აქტიური იყო ახალგაზრდობა, უნივერსიტეტის სტუდენტობა. დაიწყო შეკრებები სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან. რადგან ბრძოლის ობიექტი გაიგივებული იყო ეროვნული ბრძოლის მიზანთან – საქართველოსთან. ვითარება დაიძაბა. სტუდენტები ყოველდღიურად მივდიოდით და ვესწრებოდით სანაპიროზე მიტინგებს, აქციებს. ეროვნული ნერვი გაფაქიზებული იყო. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გამომსვლელები, სტუდენტები გორიდან, ქუთაისიდან. 9 მარტს ჩვენი კურსი, ჩვეულებრივად, იქ იყო. გამოვცხადდით ჯერ უნივერსიტეტში და ერთობლივად გავემართეთ სანაპიროსაკენ. მოულოდნელად გამოჩნდნენ შეიარაღებული სამხედროები, როგორც შემდეგ გაირკვა – "მერვე პოლკი". გულუბრყვილოებს ჩვენ შორის ისიც კი ეგონათ, რომ ეს იყო წესრიგის დამცველთა რაზმები. შიში იქ არავის უგრძვნია, სხვაგვარი ატმოსფერო იყო. ფეხს არავინ იცვლიდა. შინ წასვლას არავინ აპირებდა. ალბათ, ბედისწერა იყო, რომ უეცრად ერთმა ჯგუფმა რაღაც ბიძგით თუ შთაგონებით დროებით შინ წასვლა გადავწყვიტეთ – ჩვეულებრივზე ადრე. როგორც წესი, საღამომდე ვჩერდებოდით შეკრების ადგილზე.

უნივერსიტეტმა აქაც თავისი სიტყვა თქვა. გამომსვლელთა შორის იყო ორი ჩვენი თანაკურსელი შალვა რჩეულიშვილი (ცნობილი მწერლის გურამ რჩეულიშვილის ბიძაშვილი და ვახტანგ რჩეულიშვილის მამა) და გივი ლაშაური, რომლებიც ორი დღის შემდეგ დააპატიმრეს. დაიწყო საბჭოური რეპრესიების ახალი ტალღა. უნივერსიტეტის ვესტიბიულში სამ სტუდენტს ერთად შეჩერებისა და საუბრის ნება არ ჰქონდა. საგანგებო წესები იყო გამოცხადებული. 9 მარტის დღეებს დიდძალი მსხვერპლი მოჰყვა. უნივერსიტეტი გლოვობდა გმირულად დაღუპულებს, მაგრამ იმედით იყო განმსჭვალული მომავლისადმი.

***

უნივერსიტეტი თავის აღზრდილ შვილებს "საუკუნო საგზალს" აწვდის. ის მუდამ რჩება ერთადერთ "უნივერსიტეტად" ჩვენს წარმოდგენაში. ეს დაწესებულება პირადად ჩემთვის იყო საოცნებო "ალმა მატერი". მსურდა ჩემს შვილებსაც (გიორგი და ნინო ტონიებს) აქ მიეღოთ განათლება და მადლიერი ვარ, რომ ეს სურვილი შემისრულდა.

უნივერსიტეტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო ხარისხს და ასაზრდოებს ერის კულტურულ მეხსიერებას.

არ იქნება გადაჭარბება და მიკერძოება, თუ ვიტყვით, რომ საუკუნის მანძილზე უნივერსიტეტმა ქართული სულის აკადემიზმი გამოჭედა და გადაარჩინა. ხოლო თუ ეს გამოთქმა გადაჭარბებად ჩაითვლება, საპატიოდ მაინც დარჩება, როგორც შვილის ჭარბი სიყვარული ასწლოვანი მშობლის მიმართ.

# ერთი ოცნების ტყუპისცალი

ვანის რაიონის უმშვენიერესი სოფელი ჭყვიში გალაკტიონისა და ტიციანის ადგილის დედაა, მათი მუზების სავანეა, პოეზიის მაგნიტური ანომალია, სადაც ფაზისის (რიონის) პირას დღესაც ამაყად დგას იდუმალებით მოცული ორი სახლი "ჩანგის სიმებად და ჩანგის წკირად'' და დღენიადაგ თავისაკენ გვხმობენ, რათა ქართული ლექსის უკვდავებას გვაზიარონ.

ისტორიულ დოკუმენტურ წყაროებში სოფელი ჭყვიში XVI საუკუნიდან მოიხსენიება.

იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ 1803 წელს "წყალობის წიგნი'' უბოძა ხონის თემის სოფელ ივანდიდის მცხოვრებ გიორგი ტაბიძეს (და მის ძმებს), რომლის საფუძველზედაც დასახლებულა ის ჭყვიშში. "ყუმურის ღელე რომ რიონშიდ ჩაერთვის იმ ადგილზედ _ გიბოძეთ შენი საყოფი სამოსახლო სამამულე და საყანე... და ისევ ეკლესიას უნდა მსახურო'' _ ვკითხულობთ ამ "წყალობის წიგნში''.

ამრიგად, გიორგი ჭყვიშში 1804 წლიდან ტაბიძეთა გვარის საფუძვლის ჩამყრელია. გალაკტიონი და ტიციანი გიორგი ტაბიძის მე-4 თაობაა.

ტაბიძეები ძირითადად სასულიერო პირები ყოფილან _ მწიგნობარი ხალხი, ამაზე მეტყველებს ტიციანის ეს სტრიქონებიც:

"გრძელია ჟამი, მღვდელმსახურობს რაც ჩემი გვარი,
ვინ იცის წირვა რაოდენი გამოიყვანეს,
ახლაც ეხოს წინ დაღვრემილი მოსჩანს საყდარი,
ეს გერბი არის ამაყ მგოსანს რომ დამიხატეს''.

ჭყვიშელ ტაბიძეთა ერთ-ერთი პირველი წინაპარი გიორგი ტაბიძე მღვდელი იყო, მღვდელი გახლდათ მისი შვილი სტეფანე. ტიციანის მამაც _ იუსტინე ეკლესიას მსახურობდა, ამასთანავე ის ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა, მაგრამ ტიციანის თქმით მისი ლიტერატურული მცდელობიდან არაფერი გამოვიდა.

გალაკტიონის მამას, ვასილსაც ჰქონია სურვილი მღვდლად კურთხევისა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა ჩანაფიქრის განხორციელება _ 35 წლის ასაკში გარდაიცვალა ფილტვების ანთებით.

ხის ეკლესია _ წმ. გიორგის სამლოცველო, სადაც წირვა-ლოცვას აღავლენდნენ გიორგი, სტეფანე, იუსტინე ტაბიძეები _ კარგა ხნის წინათ დაინგრა. წარმავლობის მსახვრალმა ხელმა, ავბედითობის ჟამმა, ყველაფერი მიწასთან გაასწორა. სწორედ ამის გამო სწუხს გალაკტიონი და თავის ნაღვლიან განწყობილებას ლექსად გვიმჟღავნებს:

"სადაც შრიალებს ჭაობი ჭყვიშის, შარასთან ორი ძველი ცაცხვია;
იქ ბევრი დარდის და ბევრი შიშის გადამტან გულთა ფერფლი აწყვია.
ხსოვნაც არაა, გამქრალა ნიში,
რა სიშიშვლეა, რა სისაწყლეა!''

"ჭყვიში ქუთაისის მაზრაში შედიოდა და სამტრედიის საბოქაულოს ექვემდებარებოდა. თავდაპირველად მას დამოუკიდებელი საზოგადოება ჰქონდა, შემდეგ კი ტობანიერს შეუერთეს'' (ნ. ტაბიძე, "გალაკტიონი'', თბ. 2000 წ. გვ. 8).

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ჭყვიში და მისი შემოგარენი, მისი ულამაზესი ლანდშაფტი, საუკუნოდ მოხიბლული დარჩენილა. სწორედ ამ სოფლის ზღაპრულმა ბუნებამ განაპირობა, რომ ჭაბუკი პოეტები ფიქრით, ოცნებით სიცოცხლის ბოლომდე მიჯაჭვულნი იყვნენ მშობლიურ კუთხეს.

"სადაც არ უნდა ვლიდეს ეს საჰაერო გემი,
მაინც ფაზისის კიდეს უვლის ოცნება ჩემი''.

_ წერს თავის ერთ-ერთ ლექსში გალაკტიონი. პოეტის უფაქიზეს სულს ცხოვლად დააჩნდა სოფელში გატარებული ყოველი დღე, წუთი და წამი. გალაკტიონის კარმიდამოდან თვალნათლივ მოსჩანს კავკასიონის თოვლით დაფარული უსპეტაკესი მწვერვალები, "ისინი მეოცნებე ბავშვი შორეულისა და მიუწვდომლის განცდას ბადებდნენ''.

"ვიგონებ ყრმობას, შორს, ძლიერ შორს, ჭალების გაღმა,
კავკასიონის კლდოვანი მთის მოსჩანდა ფერდი,
საღამოობით, ვით ხომალდი ასწიოს ნალმა _
მზით ენთებოდა და ქრებოდა ტიტანის მკერდი.
ბავშვობიდანვე ის სიშორე მტანჯავდა ერთი _
ლაჟვარდოვანნი მიტაცებდნენ ნაქერალები
და ვკითხულობდი, ვოცნებობდი, ვმღერდი თუ ვწერდი _
მღევდნენ, მეძახდნენ, მიხიდავდნენ ის მწვერვალები''.
(გ. ტაბიძე, თხზ, ტ. 9, გვ. 132)

"მეფის ჭალისა'' და რიონის თვალწარმტაც სანახებში უხდიდნენ ხარკს ორპირის ფშანზე გაზრდილი მეოცნებე ბიჭები უდარდელ ბავშვობას. ჭყვიშის ხელისგულისოდენა მიწაზე შეისისხლხორცეს ასე ძალუმად მამულის სიყვარული.

უკეთესად ვერც ვერვინ გამოხატავდა პოეტის სულიერ განწყობილებას ისე, როგორც ეს ბრწყინვალე ლექსში _ "მამული'' არის გადმოცემული:

"ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გაიარე _ რაა მამული?!''

ტიციანის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში ვკითხულობთ: "ადრეული ბავშვობიდანვე უცნაური პეიზაჟით ვიყავი გარემოცული. ტროპიკული გვიმრები, ლიანები, ჭადრებისა და ალვის ხეების ხშირი რიგები და ალაგალაგ ჭაობიანი სახნავების ფართო არე ჩემს გონებაში აცოცხლებდნენ მაინ რიდისა და ალექსანდრე დიუმას რომანების გმირებს... განსაკუთრებით დამამახსოვრდა მზის ჩასვლა რიონისპირა ველებზე, როდესაც მზე ცეცხლმოდებულ მეწამულ პალიასტომის ტბაში ჩაეშვებოდა ხოლმე და ცას სანახევროდ კოლოები ფარავდნენ (ტ. ტაბიძე, ტ. 1, თბ. 2012 წ. გვ. 3).

ფრიად საინტერესო და განსხვავებულია ჭყვიშის ტიციანისეული აღქმა.

"მესმის ყანებში გადაბმული გრძელი ნადური,
მოაქვს დილიჟანსს კრენდელები და "ნაკადული'',
მოიმღერიან შარაგზაზე ჩალანდარები
და შიშველ ფეხებს აქ ეკალიც არ ეკარება''.

ხშირად აწვალებს პოეტის წარმოსახვას მშობლიური კუთხის მძაფრი მონატრება:

"დღეს თბილისში ვარ... მაგრამ ორპირი
სტირის ჩემს სულში ვაშლის ხეებად...''

ორპირი უხსოვარი დროიდან რიონის ნავსადგური იყო. სამდინარო გემები შემოდიოდნენ ორპირში და გაჰქონდათ სიმინდი და ხმელი ხილი. ორპირს, ჭყვიშის მომიჯნავე სოფელს, რომელიც ცხენისწყალისა და რიონის შესართავთან მდებარეობდა, ტიციანი ჭყვიშთან მთლიანობაში მოიხსენიებს ყოველთვის.

"იტყვიან ასე: იყო საწყალი ორპირის ფშანზე გაზრდილი,
ლექსები იყო მისი საგზალი, არ



მოუცვლია ერთი ნაბიჯი
და აწვალებდა მას სევდილამდე
ქართული მზე და ქართული მიწა,
ბედნიერებას მას უმალავდნენ, ბედნიერება მან ლექსებს მისცა''.

ჭყვიშის ბუნებამ, განსაკუთრებულმა გარემომ დიდი როლი ითამაშა გალაკტიონისა და ტიციანის შემოქმედებით ფორმირებაზე. "სწავლულები ამბობენ, რომ ადამიანის ორგანიზმი მშობლიური მიწის ატომებისაგან შედგება, რომ პიროვნებასა და მშობლიურ გარემოს შორის ქიმიურ ელემენტთა მუდმივი ცვლაა, რაც პატრიოტიზმის საფუძველი და ინდივიდის მეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია''. (ნ. ტაბიძე, გალაკტიონი, თბ., გამომც. "ნაკადული'', 1982 წ. გვ.14).

გალაკტიონი და ტიციანი "ჭყვიშის ატომებით, მისი ხმებით, ფერებითა და სევდით'' ღრმად არიან გაჯერებულნი.

გალაკტიონი და ტიციანი 900-იანი წლებიდან ქუთაისში სწავლობდნენ, გალაკტიონი სასულიერო სასწავლებელში, ხოლო ტიციანი კლასიკურ გიმნაზიაში. იმჟამად დუღდა ლიტერატურული ცხოვრება. ამ ქალაქმა მისცა ქართულ მწერლობას XX საუკუნეში პირველხარისხოვანი პოეტები და პროზაიკოსები. შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნისათვის შესანიშნავი ნიადაგი დახვდათ ყრმა პოეტებს.

აკაკის "სავარდო და სამაისო'' ქუთაისია გალაკტიონისა და ტიციანის პოეტური ნათლობის, მათი პოეტური დავაჟკაცების ქალაქი. აქ იბეჭდებოდნენ იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში, პირველ ნაბიჯებს დგამდნენ შემოქმედებით სარბიელზე.

1908 წელს გალაკტიონი თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა, ხოლო ტიციანი მოსკოვის უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ეს პერიოდი მათი ფართო განათლების მიღებისა და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის მნიშვნელოვან წლებს მოიცავს.

1914 წლის 24 ივლისს გალაკტიონი მშობლიური სოფლიდან წერილს წერს ოლია ოკუჯავას, მომავალში მისი ცხოვრების თანამგზავრს: "წარმოიდგინე სოფელი, ქალაქის დრტვინვასა და მოუხეშავ ცხოვრებას დაშორებული, შორი თვალუწვდენელი მინდვრები, იქით მუდმივი მწვანით შემოსილი მთები. ახლა მინდვრებზე სულ სიმინდია დათესილი, ალაგ-ალაგ გაუვალი ტყეებია, მათ სიგრილეში დასვენებას და ოცნებას არა სჯობია რა. ჩვენი სახლის მახლობლად, სულ ორმოც საჟენზე, მდინარე რიონი ჩამოდის, მე და ტიტე (ტიციანი) დღეში სამჯერ ვბანაობთ ხოლმე... ვკითხულობთ ერთად წიგნებს, რაც კი გაგვაჩნია. შეღამებისას გავალთ რიონის გაღმა ყანებში, დავსხდებით რიონის პირზე ვერხვის ძირში, გვაქვს თან დოქით ღვინო, თან ვსვამთ და თან ვსაუბრობთ. ვიგონებთ ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესავებს, მაგრამ ყველაზე უფრო ვიგონებთ ჩვენს ტრფიალებს. ტიტე მიამბობს მოსკოვის ამბებს, მე კი ვუამბობ ქუთაისისას, რადგან მე უფრო მეტ ტყუილებს ვამბობ, ვიდრე ტიტე, ტიტე გულზე სკდება.

მთვარე ამ დროს მაღლა სივრცეზეა ასული, ნიავი ქრის, რიონის ზვირთების ბუტბუტი არღვევს მყუდროებას... მივსეირნობთ ნავით, ვერ წარმოიდგენ, რა საუცხოო რამაა ნავით სეირნობა მთვარიან ღამეს.

ტიტემ ანკესები იყიდა... დავდივართ და ვიჭერთ თევზებს...

მე და ტიტე ხშირად ვსაუბრობთ შენზე'' (ი. ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თბ. 1968 წ. გვ. 65).

ამ წერილიდან ნათლად ჩანს. როგორი თბილი, გულწრფელი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან ადრეულ წლებში ღვიძლ ბიძაშვილებს.

1914 წელს, ივნისის ბოლოს ქუთაისში ტუტკუ გვარამიას რედაქტორობით გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნი. კრებულში შევიდა 157 ლექსი, წიგნში მოთავსებულია: ავტორის სურათი, ბიოგრაფია, ლექსები და ივანე გომართელის, იპ. ვართაგავას, მიხეილ წულუკიძის წერილები. გარე კანზე მოთავსებულია საქართველოს სახალხო მხატვრის გრიგოლ მესხის ნახატი _ ლირაზე თავდახრილი ქალი, რომელსაც თითქოსდა დაკვრის დროს ჩასძინებია.

გალაკტიონის ამ წიგნს ძალიან კარგი გამოხმაურება მოჰყვა. ქართული კრიტიკა აღნიშნავდა, რომ "...წიგნი ერთგვარ ნაზ და სევდიან განწყობილებას ქმნის ჩვენში და ეს განწყობილება დაცულია ბოლომდე. გალაკტიონ ტაბიძის სევდა ყველასათვის საყვარელი და ძვირფასია, რადგან იგი ჩვენი სულის ინტიმობაა, ჩვენი ცხოვრების ტრაგიკული წუთებია... იგია ღვიძლი შვილი ჩვენი ეპოქისა... მისი სულის სარკე'' (გაზეთი შრომა, 1914 წელი. №20).

ჟურნალის "თეატრი და ცხოვრება'' რედაქტორი ი. იმედაშვილი წერდა: "გალაკტიონ ტაბიძე არ ეკუთვნის იმ მოლექსეთა ჯგუფს, რომელთა სახელი ლეგიონია... გ. ტაბიძემ საუცხოოდ გადაგვიშალა მუდამ მაძიებლის, სულით ღელვილი ადამიანის სწრაფვა ("თეატრი და ცხოვრება'' 1915 წელი №2 გვ. 5).

"გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება უხვად არის დაჯილდოებული ღვთიური ცეცხლით... მისი სევდა... უნივერსალურია, მსოფლიო სევდაა... იგი ისე მოევლინა ჩვენს მწერლობას, როგორც სიმღერა მოულოდნელი''. _ სიამაყით აცხადებდა პოეტი ალ. აბაშელი (გაზეთი "შადრევანი''. 1915 წ. №5).

გალაკტიონის ღვიძლმა ბიძაშვილმა, პოეტმა ტიციან ტაბიძემ, შესანიშნავი წერილი "მარტოობის ორდენის კავალერი'' მიუძღვნა ამ წიგნს, რომელიც 1916 წელს დაიბეჭდა გაზეთ "საქართველოში'' (გაზეთი "საქართველო'', 1916 წელი. №4-5).

"პირველი კავალერნი მარტოობის ორდენისა იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი და მამია გურიელი, დღეს კი ახალზე მინდა საუბარი.

მორცხვად შემოდგა ფეხი ჩვენს მწერლობაში გალაკტიონ ტაბიძემ, რათა დაერეკა გლოვის ზარები და უკვდავ მეზარეთა ჩრდილები არ გამწყრალიყვნენ მის დანახვაზე. პოეტი საინტერესოა არა მარტო სამგოსნო ტალანტით, არამედ უფრო წერის მანერითა და ლიტერატურული გავლენითაც'' (ტ. ტაბიძე, პროზა, ტ.2, თბ 2012 წ. გვ. 212-213).

მიმოიხილავს რა ჭაბუკი გალაკტიონის მთელ რიგ ლექსებს, იქვე დასძენს: "გალაკტიონ ტაბიძის ლექსი უჩვეულო მოკლე სიტყვებში იშლება, მას აქვს რაღაც ჯადო, რომლითაც სულ უბრალო ფერადები წარმტაცად ბრწყინავენ, უბრალო სიტყვები რიტმულად ჟღერენ, თითქოს ფერხულს უვლიან ნიავის ველურ სიხალისეში... ყრუდ დაბადებული იქნება, ვინც იმაში მუსიკას ვერ მოისმენს...

გალაკტიონ ტაბიძის ლამაზი შედარებანი და მეტაფორები უბრუნებენ ქართულ მწერლობას ბრწყინვალე პერიოდს... ისე მრავალმხრივია და ინტიმურად ღრმაა ეს პოეზია, რომ ამ პატარა ესკიზში ფრთაფარფატას შეხებაც კი შეუძლებელია, რომ წერილის მთლიანობა არ დარღვეს. გ. ტაბიძის პირველი წიგნის გამოჩენა ქართულ პოეზიაში ბევრის მაჩვენებელია. იმას აქვს ძლიერი ტემპერამენტი და მხატვრული გულწრფელობა, მისი ლექსი განცდილია და მომხიბლავი''. ალმანახში "ცისფერი ყანწები'' (№1, 1916 წელი, გვ. 3) დაიბეჭდა ტიციანის წერილი "ცისფერი ყანწებით'', სადაც ასახელებს რა, XX საუკუნის 10-იანი წლების თვალსაჩინო პოეტებს: იოსებ გრიშაშვილს, ს. შანშიაშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს _ ხაზგასმით აღნიშნავს:

"ის (იგულისხმება გალაკტიონი) ახალგაზრდაა ამ სამებაში და ყველაზე მეტად ეტყობა სიმბოლიზმისკენ გადახრა. "მე და ღამე'' გვიჩვენებს, რომ მისი სული უძიროდ ღრმაა... პირველი წიგნის ნერვების ტოკვაზე ეტყობა, რომ გაზრდის შხამიან ყვავილს სიმბოლიზმისას... რაც ძვირად არ დავაფასოთ ის რაც იმან მოგვცა, მაინც იმაზე მეტი მომავალშია''.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1913 წლიდან სამი-ოთხი წლის განმავლობაში იწერება გალაკტიონის შედევრები: "მე და ღამე'', "მერი'', "ატმის ყვავილები'', "მთაწმინდის მთვარე'', "თოვლი'', "ლურჯა ცხენები'', "დომინო''... ხოლო ტიციანის შემოქმედებითი მწვერვალები 1925 წლის შემდგომ აღიმართა.

ახალგაზრდა პოეტებმა 1915 წელს ქუთაისში შექმნეს ქართველ სიმბოლისტთა კორპორაცია ლიტერატურული გაერთიანება "ცისფერი ყანწები''. "ყანწელთა'' ამ ორდენს თავისი სამოქმედო პროგრამა ჰქონდა.

**აკაკი ითვზაძე _ პოეტი,**
**გ. ტაბიძის პრემიის ლაურეატი**

*დასაწყისი.*
*გაგრძელება შემდეგ ნომერში.*

# ისევ მოკითხვა, ისევ ახალი ლექსები

დაისვენე და ჩვენც დაგვასვენე-თქო შევკადრე ჩემს უფროს, დიდი ხნის მეგობარ პოეტ ილია ლეკვეიშვილს, ყოველკვირეულ თბილ მოკითხვასთან ერთად რომ მაუწყა _ ახალ ლექსებს ვგზავნი და აბა თქვენ იცით, მიმიხედეთო.

ლექსები კი, ლექსები რაოდენობრივადაც ბლომადაა და თემატური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა: ცალკეა საბავშვო ლექსები, ცალკე საბავშვო პიესა, (სცენარი) ცალკე კიდევ ლექსები სიყვარულზე, პეიზაჟზე, თვალსა და ხელსშუა გაპარულ წლებზე და ვინ იცის კიდევ რაზე არა.

დღემ იგლო, ღამემ იმატა და მწერალიც ზის თბილ ოთახში და წერს, წერს არცთუ ურიგოდ, არამედ, იოლად, სადად, უბორკილო ენით.

ჩვენი გაზეთის პერიოდულობისა და ფორმატის გათვალისწინებით, რამდენიმეს ვბეჭდავთ მხოლოდ, პოეტ ილია ლეკვეიშვილის მიერ ახლადგამოგზავნილი ლექსებიდან, იმ იმედით, რომ ამჯერადაც ინტერესით გაეცნობა მათ გემოვნებიანი მკითხველი და ობიექტური შეფასებებიც სახეზე იქნება.

კალამი არ გაგშრობოდეს, საწერი არ დაგლეოდეს მეგობარო.

<u>ლევან გაბეჩავა</u>

**ჩემო მკითხველო**

ამ ლექსებიდან ერთიც რომ
არ მოგეწონოს, რა მრჯის?..
ნურც ცუდი მოსწავლესავით
კუთხეში დგომით დამსჯი.
ყველა რომ კრეფდეს ვარსკვლავებს,
ლაპარაკია რაზე,
მაშინ ხომ ერთი ვარსკვლავიც
არ დარჩებოდა ცაზე.

**წარწერა სასაჩუქრე წიგნზე**

არ მოგეწონოს გამიკვირდება,
რომ მოგეწონოს, ისიც...
ამ ნარ-ეკალში, ვარდის კრეფაში
ჩამიქცევია სისხლი.
გთხოვ, არ მომკითხო
თუ რად მოჰყვება
ცად მზის ამოსვლას ნისლი,
რად სტრიქონ-სტრიქონ,
თუ სტრიქონ შუა
ჩუმი ქვითინი ისმის.
რად ხდება ასე, როცა ისეა
საქმე, რომ უკვირს ყველას,
რომ არასოდეს ისე არა წვიმს
როგორაც ქუხს და ელავს?

**გვირილა**

სად დამეკარგე, გიცდი სულ
მას მერე რაც ჯვარს მაცვი,
თქვი, აბა ეძებ ვისი სულს,
გვირილას გვირგვინს ვაცლი...
გიყვარვარ? _ არ ვმარჩიელობ,
ისედაც ვხედავ, რაზომ
მოწყენილი ხარ იელო,
ცრემლად იღვრები ვაზო!..
დარდი ვარ, ისარს ისარი
წუილით მისდევს, არ თქვა
ისედაც ვხედავ ის არი
შენი სამიზნე დაფა!..
პოეტის გულიც ასეა,
უბეში ჩიტი უზის,
და რამდენადაც ცაზეა
მიწა იმდენად უმძიმს!..
სად დამეკარგე, გიცდი სულ,
მას მერე რაც ჯვარს მაცვი,
თქვი აბა ეძებ ვისი სულს
გვირილას გვირგვინს ვაცლი.

**სიყვარული**

მიყვარხარ და მეშინია,
გული მუდამ შიშშია...
სიყვარული შეშლილია,
სიყვარული გიჟია!
გაგიჟება მინდა ალბათ,
შევიშალო მსურს!
რა ვქნა გულო, თუ კი ფრთები
ენატრება სულს!
სიყვარული სასჯელია,
სიყვარული ფრენს!..
მარტო ერთმა, ღმერთმა იცის
სად მოიქნევს ფრთებს...
ხან ეცემა ცრემლად ღაწვებს,
ღრუბელ-ღრუბელ ცრის,
როცა ეჭვი ულმობელი
გაგიტეხავს ძილს!..
ხანაც კარზე მიკაკუნებს,
გამიღეო, გთხოვს...
ატმისა და ალუჩების
ყვავილებად თოვს...
შენ კი მარტის ამინდივით
შეპრენტილი, გულს
ფლეთ უგულოდ, ნაწილ-ნაწილ...
გიყვარს, თანაც გძულს!...
ხან მზედ, ხანაც მოციმციმე
ვარსკვლავებად კრთი!..
ოქროსფერი გალიიდან
გაფრინდები, ფრიიი...
გადაუფრენ მთებს ქუხილით,
ხან ეშვები ძირს...
რეკავს გული, ბორგავს გული,
რეკავს, ბორგავს, ძინ!...
ძილს რომ გიფრთხობს და ცხადშიაც
იქნევს ფერად ფრთებს...
ხედავ სიზმარს, ფერად სიზმარს
და ღრუბლებში ფრენ.

***

რამდენი ღამე უძილო
ფიქრებში გამათევინე,
ის ჯადოსნური სიტყვაც ხომ
პირველად შენ მათქმევინე...
მას მერე წლები გავიდა,
თუმც რაც დრო გადის, უცილოდ
დარდის მორევში ვეშვები,
უნაპიროს და უძიროს.
მკურნალია დრო, როგორც
ამბობენ, მაგრამ რად ხდება
რომ გულში იგი იარა
უფრო და უფრო ახლდება.

**ყველგან გზაა**

განა ვიცი?
რაც არ ვიცი?!.
ან შენ იცი რას განვიცდი?
რა ულმობლად დაცავიწვი
და რა ულვთოდ გადავიწვი...
საით ღმერთო!
არსით გზაო,
ცხადი?
_ არა სიზმარ ცხადი!
მიწის ვარ თუ ნეტა ცისა
აგი მაინც მაცოდინა
ამ საწუთრომ ისე მზილა,
ისე ულვთოდ მაცოდვილა!..
განა ვიცი
რაც არ ვიცი?!.
მივალ, ეს კი ვიცი...
საით?..
ყველგან გზაა
ხსნა კი,
ხსნა კი _
ღმერთო ჩემო,
ხსნა _ არსაით!

**მინდა რომ ჩემი გაგხადო**

როცა თვალები ნაღვლობენ
ჩავიმუხლები მუხლებთან,
შენს მაღალ მუხლებს, ამბობენ
მოკლე კაბაო უხდება!..
მაშ რაღად მიწყობ გამოცდას
ერთთავად რომ იფუთნები,
და განტოლების ამოხსნას
მთელი ცხოვრება ვუნდები...
არ მკითხო რაზე ვოცნებობ,
მასზედ რომ ჩემი გაგხადო!..
თუმცა ჯერ მაინც ვჭოჭმანობ,
გაგხადო, თუ არ გაგხადო?!.

**ჩემი ოცნების ქალო**

ძილის წინ შენზე ვფიქრობ და
არ მესიზმრები არაო...
ცხადშიაც რად მემალები
ჩემი ოცნების ქალაო.
დავმალო? _ როგორ დავმალო...
მაინც მამხელენ თვალები
სად დამეკარგე ქალაო,
რად მომიხურე კარები?!.
როგორ უალოდ დავიწვი,
პირს იჩენს ნაირევი,
დარია გულში მაინც წვიმს
და დარდში დავიარები.
შენ მაინც გაგკვირვებია
რამ დალიაო ქალები?
შენკენ მოიწევს გული და
შენკენ მორბიან თვალები...
ძილის წინ შენზე ვფიქრობ და
არ მესიზმრები არაო!
ცხადშიაც რად მემალები
ჩემი ოცნების ქალაქო!

**სამ-ოცი**

მზისფერებს დაშლის დეკემბრის
ქარები ერთი შებერვით...
სამოცი წელი, სამ-ოცი...
ადრე მეგონა მეც ბევრი...
რად ჩქარობ, მალე, მალეო!..
ოცი შენც შეგსრულებია,
ჩემი ხნის მოიყარეო
მეუბნებოდა ბებია!..
მლოცავდა?.. _ მა რა, მლოცავდა:
"ჩემი ხნის მოიყარეო!.."
მოვიყარე და რა მერე
წელშიც რო მოვიხარეო?!.
ეჰ რა ხარ წუთისოფელო
ამო, ამაოდ თვალეო...
წვეთ-წვეთად მასვი სამსალა
შარბათი დამიმალეო!

**გედის სიმღერა**

უკვე ადრე ვიძინებ და
ძალზე გვიან ვდგები,
ნეტა რამ დაამძიმა
ასე ჩემი ფრთები.
მახსოვს, როგორ არ მახსოვს
ლაბა ხარის ქედი,
ნუთუ უკვე ეს ლექსი
სიმღერაა გედის!..
ეჭვი მიპყრობს ნიადაგ
რა ნარნარით ვფრენდი!..
დაძინებით კი მაგრამ
ნეტა თუ ავდგები?!.

<u>ილია ლეკვეიშვილი</u>

## ბუნების სურათები

**აბაშის ღამე**

ისე თენდება, თითქოს თეთრი ყაბალახივით
გათენებას თავზე იხვევს ზაფხულის ღამე
და ვარსკვლავები ისე მოჩანან, თითქოს ნაბადში
ჩუმად მალავდეს მოტაცებულ პაწია ბალღებს.

**შემოდგომა**

ნუ გეგონებათ, ამ ტყე და მთებში
რომ ყვავილები თითქოს ხმებიან,
არამედ ფერებს ოქროს აკვნებში
ჩვილივით ტკბილად ჩასძინებიათ...

***

სიყვარული ცელქი ბავშვივით
გულს გამოექცა, სისხლს ამოჰყვა და
ტუჩებთან იქცა ღიმილად,
რომ გამოძვრეს და მოვიდეს შენთან.

***

ჭრელი პეპელა, სულ ორი დღის ჭრელი პეპელა
მომკვდარიყო გზაზე საწყალი,
აიყვანეს და პანთეონში დაასაფლავეს...

***

გამხდარი სიო ხმელ ფოთოლს თითქოს
ინიავებდეს მარაოსავით,
წვიმების შემდეგ ცას გასჩენია შუბლზე ჭრილობა
და მზე უსვია მალამოსავით...

***

დღეს ზეცა რეკავს და ღრუბლის ჯარებს
ალბათ, ზაფხულთან სალაშქროდ იხმობს
ჩანჩქერი ისე ჩამორბის მთიდან
თეთრი ულაყი კლდეზე ჯიქურ არბოდეს თითქოს...

<u>ერმილე თოფურია</u>

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა

**გიორგი (გიგა) დუნდუა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



---

ვეფხია ნადირაძე იუწყება, რომ გარდაიცვალა შვილობილი

**გიორგი (გიგა) დუნდუა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**გიორგი (გიგა) დუნდუა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**ელგუჯა კაჭარავას გახსენება**



ამ დღეებმა მხოლოდ ტკივილი და სინანული მოგვიტანა: ტკივილი ამქვეყნიდან ნაადრევად წასული ოჯახის ბურჯის, უკეთილშობილესი ადამიანის, მზრუნველი მამისა და მეუღლის, მოსიყვარულე ბაბუის და ერთგული მეგობრის, პროფესიონალი იურისტის, რომელიც მის ირგვლივ მხოლოდ სიკეთეს ასხივებდა. ელგუჯა კაჭარავას ნათელი ხსოვნა არასოდეს წაიშლება მისი ოჯახის წევრების გულში.

<u>მეუღლე ნატალია გოგიშვილი, შვილები ნათია და ხატია ოჯახებით.</u>

40 დღე გავიდა, ჩვენო უსაყვარლესო ძამიკო, რაც ამ წუთისოფელს განეშორე და დაგვიტოვე მოუშუშებელი იარა. უსაშველოდ ძნელია, შენი დებისთვის და დისშვილებისთვის იმ აზრთან შეგუება, რომ ჩვენს გვერდით აღარ იქნები, ველარ გაგვაბედნიერებ შენი სტუმრობით. გამორჩეული იყავი, შენი კარგი კაცობით. გჯეროდეს, ჩვენს შთამომავლობას არასოდეს დაავიწყდები, როგორც ღირსეული პიროვნება და ნამდვილი ადამიანი.

<u>დები დალი, ლალი და ქეთერ კაჭარავები</u>

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს დეკანოზ ვახტანგ მაღლაკელიძეს მეუღლის, ქალბატონი

**გიული მაღლაკელიძის**

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სტამბის ყოფილი თანამშრომელი

**ნანი შოთას ასული კაკაბაძე-მხეიძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# პატარა მოჭადრაკეების წარმატება

დამთავრდა ქუთაისში "დავით ჩირაძის სახელობის მემორიალი ჭადრაკში _ 2017". ეს იყო საქართველოს რეგიონებისა და ქალაქების სპორტული სასწავლებლების, ორგანიზაციებისა და კლუბების მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა ჭადრაკში 7, 8 და10 წლამდე გოგონათა და ჭაბუკთა შორის.

7 წლამდე ასაკის გუნდებს შორის სამტრედიის გუნდის შემადგენლობაში იყო 3 ვაჟი და ერთი გოგონა.

პირველ დაფაზე 5 წლის ლუკა რუხაძე, მეორეზე გელა ბაღიშვილი, მესამეზე ლუკა ცხვარაძე და მეოთხეზე ხატია რუხაძე თამაშობდნენ. გუნდური ტურნირი ჩატარდა შვეიცარული სისტემით 7 ტურად. უშეღავათო ბრძოლაში მესამე საპრიზო ადგილი III ხარისხის დიპლომები და მედლები მოიპოვა სამტრედიის 7 წლამდე ასაკის გუნდმა "სამტრედია". მწვრთნელი ბესო ლეჟავა.

ვულოცავ პატარა მოჭადრაკეებს ამ წარმატებებს და მერმისში ვუსურვებ პირველი ადგილის დაკავებას.

*გულიკო გოგიტიძე*
*ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი*



# საფეხმავლო გადასასვლელის _ "ზებრას" შესახებ...

გზებზე განთავსებულ საფეხმავლო გადასასვლელებს კაცობრიობა უძველესი ეპოქიდან იყენებდა. თუმცა თანამედროვე საფეხმავლო გადასასვლელები, რომლებსაც "ზებრას" სახელით მოიხსენიებენ, მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა. გერმანელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამიანის თვალი თეთრ და შავ ზოლებს განგაშის აღმნიშვნელ სიმბოლოებად აღიქვამდა. ტესტირების შედეგად გაირკვა, რომ ავტომობილების მძღოლები ასეთი სახის გადასასვლელებთან სიჩქარეს ინსტიქტურად ამცირებდნენ, ხოლო ფეხით მავალნი კი, "ზებრას" დანახვისთანავე ერთიორად ყურადღებიანი ხდებოდნენ. გარდა ამისა, ის მაქსიმალურად ამცირებდა ავარიის შემთხვევებს გზის გადასასვლელ ამა თუ იმ ნაწილზე. შესაბამისად, მეცნიერებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ "ზებრა-გადასასვლელები" ერთობ პრაქტიკულ საშუალებას წარმოადგენდა გზებზე, როგორც ფეხით მოსიარულეებისათვის, ასევე ავტომობილების მძღოლებისათვის.



გადასასვლელებზე 1953 წლის სექტემბერში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიხსნა პირველი "ზებრა-გადასასვლელები", რომელიც უმალვე იქნა გავრცელებული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ 2003 წელს გერმანიაში საზეიმოდ იქნა აღნიშნული საფეხმავლო გადასასვლელის _ "ზებრას" ორმოცდაათი წლის იუბილე.

**Genia.ge.**






კაცს ეკრძალება დღეიდან
ქალისკენ მზერის მიმართვა,
ვის მოვეფერო არ ვიცი,
თაიგული ვის მივართვა?

## ვულოცავთ!

**ბატონ ლევან გაბეჩავას!**

გილოცავთ დაბადების დღეს, იხარეთ, იდღეგრძელეთ.

*ვეტერანთა რაიონული კავშირი*



**ლევან გაბეჩავას!**

"სამტრედიის მაცნეს" ძლიერი გუნდის ერთ-ერთ წონად და გამორჩეულ ფიგურას, იუმორის მამასა და დიდებულ ორატორს, საბიბლიოთეკო ღონისძიებათა უცვლელ წამყვანს, ნიჭიერ კალმოსანს, ღირსეულ სამტრედიელს, ქვეყანაზე მოფიქრალ-მოდარდეს, მრავალი ახალგაზრდისთვის ხელის გამმართველს, სიკეთის ჩუმად მთესველს... დაბადების დღეს გილოცავენ თანაგაზეთელები, შენს კალამს დიდხანს ემსახუროს სიმართლისათვის, გწყალობდეს და გიცავდეს უფალი!

*"სამტრედიის მაცნე"*

**ბატონ გოგი ლეჟავას!**

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, წარმატებებს გისურვებთ, უფალმა გაგაძლიეროთ!

*"სამტრედიის მაცნე"*

---

**ბატონ გოგი ლეჟავას!**

გილოცავთ დბადების დღეს, იხარეთ, იდღეგრძელეთ!

*ვეტერანთა რაიონული კავშირი*

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა